საქართველოს რესპუბლიკა

www.sakresp.ge



იმისთანა ჩმინდა საქმეში, რიგიერიც ბეჭდვეტი სიტყვაა, ტყეიღებით და ჭიერებით ბეტონის გაცანა ყვეღა უკერძისიბაზე ესაძაგღესია.

ხუთშაბათი, 28 სექტემბერი. 2017 წ. №198 (8335), გამოცემის 99-ე წელი | ელ.ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@top.ge | ფასი 50 თეთრი.

2017-2018 წლების ანტიკორუფციული სტრატეგია და ტაქტიკა ③

ზურაბ წერეთელი, ⑧ სტივენ სიგალი, ემილ კუსტურიცა - „შავ სიაში“!..

პარადოქსების ეკონომიკა და ხალხის გამოტაკებელნი ④

ვინ უთავკაცებს რუსთავს?

⑤

გზა სიკეთით გავლილი

სასამართლომ ფარულ მოსმენაზე უარი 265 შემთხვევიდან მხოლოდ 10-ზე თქვა ⑪

ოქსფორდის პროფესორის „შუამიწეთი“ ⑫

ბასილაშვილი - სრული სვლით! ⑩

გიორგი კვირიკაშვილი ანგელა მერკელს შეხვდა

როგორც საგარეო ურთიერთობების საკითხებში პრემიერ-მინისტრის მრჩეველმა თედო ჯაფარიძემ შეხვედრის დასრულების შემდეგ განაცხადა, გერმანიის კანცლერმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ გერმანულ-ქართული ურთიერთობები ღრმავდება:

„შეხვედრის დაწყებისას ჩვენ მივულოცეთ ქალბატონ მერკელს არჩევნებში გამარჯვება. დავიწყეთ საუბარი ორმხრივი ურთიერთობებით. ორივე მხარემ დადებითად შეაფასა ურთიერთობათა დინამიკა. ანგელა მერკელმა აღნიშნა, რომ გერმანულ-ქართული ურთიერთობები ღრმავდება. იყო საუბარი ევროპისკენ საქართველოს სვლაზე, ევროკავშირთან ურთიერთობებზე, რუსეთსა და იმ პრობლემებზე, რომლებიც საქართველოს რუსეთთან აქვს. დაწვრილებით მოვუყევით, თუ რა ხდება ყოველდღიურად ოკუპაციის კუთხით — მავთულხლართები, გაყოფილი სოფლები.

ჩემთვის მოულოდნელი იყო, რომ ქალბატონი მერკელი და მთელი მისი გუნდი, ვინც შეხვედრას ესწრებოდა, იყო უაღრესად კარგად მომზადებული. მათ იცოდნენ დეტალურად საქართველოში და საქართველოს ირგვლივ არსებული პროცესები. განვიხილეთ ეკონომიკური პროექტები, აბრეშუმის გზა. საუბარი შეეხო ჩინეთის, უზბეკეთისა და გერმანიის დაინტერესებას, რომ საქართველოს მეშვეობით ეს ურთიერთობები უფრო ინტენსიური გახდეს“, — განაცხადა თედო ჯაფარიძემ.

ბრიუსელის სამიტი ახლოვდება

აღმოსავლეთ პარტნიორობის სამიტისთვის მზადების საკითხები განიხილეს ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის სკითხებში სახელმწიფო მინისტრმა ვიქტორ დოლიძემ და იოჰანეს ჰანმა ბრიუსელში გამართულ შეხვედრაზე. **სახელმწიფო მინისტრმა ინფორმაცია მიაწოდა ევროკომისარს ასოცირების შეთანხმების ფარგლებში განხორციელებული რეფორმების, ევროკავშირთან უვიზო მიმოსვლის პროცესის, ასევე, წესების დარღვევის პრევენციისკენ მიმართულ ღონისძიებებზე.**

იოჰანეს ჰანმა აღნიშნა საქართველოს, როგორც აღმოსავლეთ პარტნიორობის ინიციატივის მონაწილე ქვეყნის მიერ დაფიქსირებული მნიშვნელოვანი პროგრესი, ხაზი გაუსვა, რომ საქართველო არის რეფორმების განხორციელების მხრივ ლიდერი ქვეყანა და მადლიერება გამოხატა ევროკავშირის საერთო უსაფრთხოებისა და სამშვიდობო თავდაცვის პოლიტიკის ფარგლებში მიმდინარე ოპერაციებში საქართველოს მიერ შეტანილი წვლილისათვის. **„გვიახლოვდება აღმოსავლეთ პარტნიორობის ნოემბრის სამიტი, სადაც ჩვენ უნდა ვიცოდეთ, თუ რა პრაგმატულ წინსვლას გააკეთებს ქვეყანა და წამოიღებს უფრო მეტ დახმარებას სხვადასხვა სფეროებში, როგორიცაა თავდაცვა, ენერგოუსაფრთხოება, როგორიც არის რეფორმების გატარებაში მხარდაჭერა“,** — აღნიშნა სახელმწიფო მინისტრმა.

შეხვედრის დასასრულს ვიქტორ დოლიძემ ევროკომისარს თბილისის საპატიო მოქალაქის წოდების მინიჭება მიულოცა.

ჯუანშერ ვათაძე

ვინ იყვნენ პირველი ქართველი დასავლეთევროპელები?

საამაყო მემკვიდრეობა

⑥⑦

ჟიული შარტავას თანამებრძოლი გურამ გაბესკირია ეროვნული გმირია!

საქართველოს პრეზიდენტმა გიორგი მარგველაშვილმა გმირთა მოედანზე საქართველოს ერთიანობისა და დამოუკიდებლობისათვის ბრძოლაში დაღუპულ მებრძოლთა მემორიალი გვირგვინით შეამკო, მათ ხსოვნას პატივი მიაგო და მებრძოლთა ოჯახის წევრებს გაესაუბრა.

გმირთა მემორიალთან საქართველოს პრეზიდენტმა საქართველოს დაცვისა და ერთიანობისთვის ბრძოლაში გამოჩენილი განსაკუთრებული მამაცობის, გამორჩეული გმირობისა და თავდადებისათვის ქალაქ სოხუმის მერს, პოლკოვნიკ გურამ გაბესკირიას სიკვდილის შემდეგ საქართველოს ეროვნული გმირის წოდება მიანიჭა და ეროვნული გმირის ორდენი მისი ოჯახის წევრებს გადასცა.

ოკუპაცია და ძმათა მკვლელი ომი ჩვენი საერთო ტკივილი იყო და არის დღესაც!

„ძართული ოცნების“ თბილისის მერობის კანდიდატმა კახა კალაძემ გმირთა მოედანზე ტერიტორიული მთლიანობისთვის დაღუპულ გმირთა მემორიალი გვირგვინით შეამკო და აღნიშნა, რომ ოკუპაცია და ძმათა მკვლელი ომი ყველას საერთო გულისტკივილია.

კალაძის თქმით, 1993 წლის 27 სექტემბერი, საქართველოს ისტორიაში ჩაიწერა როგორც კიდევ ერთი ცრემლიანი და სისხლიანი დღე.

„საქართველო იყო ყველას სახლი, ყველა კუთხის ადამიანის სახლი, დაწყებული აფხაზეთიდან დამთავრებული სამაჩაბლოთი. საუკუნეებია, ერთი წინაპარი გვყავდა, ერთი მონარქია და ერთი სამშობლო გვქონდა. ის ოკუპაციაც და ძმათა მკვლელი ომი საერთო იყო და ჩვენი საერთო ტკივილია დღესაც. ეს არის ტკივილი, რომელიც ყველა ადამიანის გულშია. მჯერა, რომ შევძლებთ, დავიბრუნოთ ჩვენი აფხაზეთი და ჩვენი სამაჩაბლო“, — განაცხადა მერობის კანდიდატმა.

რუსეთი ამ კონფლიქტში ყველანაირად მონაწილეობდა

...დიახ, ეს ასეა და ეს ყველაფერი ჩვენ თავზე გვაქვს გადატანილი, — ამის შესახებ „პატრიოტთა ალიანსის“ წევრმა ადა მარშანიამ განაცხადა. მისი თქმით, **გამართლებულია ყველანაირი მოქმედება, რომელიც ხელს უწყობს ჩვენი ქვეყნის გამთლიანებას, თუმცა, ჯერ მინდა ვთქვა, ის რომ ცხადია, საუბედუროდ, 27 სექტემბერი არის უდიდესი ტრაგედიის დღე საქართველოს უახლეს ისტორიაში. ეს ტრაგედია ჩვენი ქვეყნისთვის გრძელდება, სასიკეთოდ არაფერი შეცვლილა, პირიქით, ამ 24 წლის განმავლობაში ჩვენ მხოლოდ რეგრესი გვაქვს. უნდა გავიაზროთ ის, რომ მიდგომებია შესაცვლელი და ახალი პოლიტიკაა გასააზრებელი. უგუნურობის პოლიტიკა გრძელდება და ამიტომ ამ მიმართულებით არაფერი არ იცვლება. იმისთვის, რომ რაღაც გამოვიდეს, მოსკოვში არ უნდა წავიდეთ? და ვიყოთ ისე, როგორც 24 წელია, ვართ? არაფერი იცვლება და ამას ახალი ტრაგედიები ემატება“,** — განაცხადა ადა მარშანიამ.

აჰმედ არსლანი: ახალ გამოწვევებს წარმატებით დავხვდებით და ყოველთვის თქვენს გვერდში ვიდგებით

ჩვენ ბევრ სფეროში თანამშრომლობის პოტენციალი გვაქვს და ეს პოტენციალი ურთიერთსარგებლიანობის პრინციპით უნდა ავითვისოთ, ჩვენი ხალხის საკეთილდღეოდ, — ამის შესახებ თურქეთის ტრანსპორტის, საზღვაო საქმეთა და კომუნიკაციების მინისტრმა თბილისის საერთაშორისო აეროპორტის ახალი ტერმინალის გახსნაზე სიტყვით გამოსვლისას განაცხადა.

აჰმედ არსლანის თქმით, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ბაქო-თბილისი-ყარსის სარკინიგზო მაგისტრალის პროექტი, რომელიც ევროპას, კავკასიასა და შორეულ აღმოსავლეთს ერთმანეთთან დააკავშირებს.

„ბაქო-თბილისი-ჯეიჰანი, ბაქო-თბილისი-ერზრუმის ნავთობსადენი და ბოლოს, ბაქო-თბილისი-ყარსის სარკინიგზო მაგისტრალის პროექტები ჩვენი ქვეყნების თანამშრომლობის ყველაზე მნიშვნელოვანი კონკრეტული პროექტებია. ტრანსკასპიური გასასვლელების გაძლიერება ძალიან მნიშვნელოვანია და ეს მისცემს საშუალებას ქართულ პროდუქციას, რომ აღმოსავლეთის ქვეყნების ბაზრებზე გავიდეს“, — განაცხადა აჰმედ არსლანმა.

თურქეთის ტრანსპორტის მინისტრმა იმედი გამოთქვა, რომ თბილისის საერთაშორისო აეროპორტის ახალი ტერმინალი ქართველ ხალხს წარმატებით მოემსახურება.

,,დარწმუნებული ვარ, ეს არ იქნება საკმარისი, რადგან დიდი წარმატებები გელოდებათ წინ და ძალიან სწრაფად ვითარდება საჰაერო სფერო. ახალ გამოწვევებს წარმატებით დახვდებით, ჩვენ კი ყოველთვის თქვენს გვერდში ვიდგებით“ — განაცხადა აჰმედ არსლანმა.

* * *

ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრმა გიორგი გახარიამ, თურქეთის ტრანსპორტის, საზღვაო საქმეთა და კომუნიკაციების მინისტრ აჰმედ არსლანთან და აზერბაიჯანის რკინიგზის ხელმძღვანელი ჯავიდ ყურბანოვთან. სხვა ოფიციალურ პირებთან ერთად ბაქო-თბილისი-ყარსის ახალი სარკინიგზო ხაზის ინსპექტირების მიზნით თბილისიდან კარწახამდე მატარებლით გაემგზავრა. დელეგაციის წევრები ახალქალაქის სადგურის და პროექტის სხვა მშენებარე ობიექტები დაათვალიერეს.

ბაქო-თბილისი-ყარსის სარკინიგზო მაგისტრალის მშენებლობა დასრულების ეტაპზე გადავიდა. ამ დროისთვის შესრულებულია რკინიგზის საქართველოს მონაკვეთის მშენებლობის დაახლოებით 70 პროცენტი — სალიანდაგო ინფრასტრუქტურის მშენებლობის სამუშაოების ძირითადი ნაწილი დასრულებულია და ძირითადად მიმდინარეობს სადგურების მოწყობისა და სხვა ინფრასტრუქტურის სამშენებლო სამუშაოები.

ახალი სარკინიგზო ხაზის პროექტის ფარგლებში, გათვალისწინებულია მარაბდა-კარწახის 180 კმ სიგრძის სარკინიგზო უბნის რეაბილიტაცია, რეკონსტრუქცია და მშენებლობა. პროექტი შედგება: მარაბდა-ახალქალაქის სარეკონსტრუქციო სარეაბილიტაციო უბნისგან — საექსპლუატაციო სიგრძით 153 კმ და ახალქალაქი-კარწახი (თურქეთის საზღვარი) — 27კმ სიგრძის ახალი სამშენებლო უბნისგან.

მარაბდა-ახალქალაქი-კარწახის სარკინიგზო უბნის რეაბილიტაცია, რეკონსტრუქცია და მშენებლობა წელიწადში 5 მლნ ტონა ტვირთბრუნვაზე და 1 მლნ. მგზავრთნაკადზე გათვლილი პროექტის შესაბამისად (წელიწადში 15 მლნ ტონა ტვირთბრუნვის პერსპექტივით) მიმდინარეობს. პროექტის მიხედვით, თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენებით, გათვალისწინებულია არსებულ სარკინიგზო ხაზზე ყველა დარგის ობიექტების სრული რეაბილიტაცია-რეკონსტრუქცია. ბაქო-თბილისი-ყარსის ახალი სარკინიგზო ხაზის ამოქმედების შემდეგ შეიქმნება ევროპა-აზიის ახალი დამაკავშირებელი სარკინიგზო მარშრუტი, რომელიც ხელს შეუწყობს საქართველოს, როგორც სატრანზიტო ქვეყნის პოტენციალის ამაღლებას. ეს არის პროექტი, რომელმაც სამი ქვეყნის ერთობლივი ძალისხმევით რეგიონი უნდა აქციოს სატრანსპორტო და სავაჭრო ჰაბად, რომელიც მნიშვნელოვან როლს შეასრულებს ახალი აბრეშუმის გზის პროექტში. აღსანიშნავია, რომ მსოფლიოს 100 გლობალურ პროექტს შორის, ბაქო-თბილისი-ყარსის რკინიგზა მსოფლიოს ერთ-ერთ სტრატეგიულ პროექტად არის აღიარებული.

ხალხი ერთმანეთთან ჯერ ვერ აკავშირებს ნეპოტიზმსა და კონსტიტუციას

პარლამენტმა მესამე მოსმენით საქართველოს კონსტიტუციაში ცვლილებების პროექტი დაამტკიცა. უმრავლესობამ ოპოზიციის პროტესტის მიუხედავად, მოახერხა და მიიღო კონსტიტუცია, რომელიც, როგორც პარლამენტის თავმჯდომარე ამბობს, ათწლეულებს გაუძლებს, თუმცა საპირისპირო მოსაზრებაც არსებობს, რომლის თანახმად, ყველა ხელისუფლებისთვის საკონსტიტუციო ცვლილებები მხოლოდ ძალაუფლების გახანგრძლივების ინსტრუმენტია.

ოპოზიცია მთავარ აქცენტს აკეთებდა იმაზე, რომ ერთპარტიულ კონსტიტუციას იღებდა პარლამენტი, ხოლო ყველაზე მწვავე პროტესტი ისმოდა „ნაციონალური მოძრაობის“ მხრიდან. შესაძლოა, კონსტიტუციის მიმართ პრეტენზიები არსებობდეს, მაგრამ როდესაც მთავარი გამხმოვანებელი „ნაციონალური მოძრაობაა“, რომელმაც 7 წლის წინ თავად დაამტკიცა ერთპარტიული კონსტიტუცია, ძნელია, მის მხარდამჭერთა რიგებში დგომა, იმის მიუხედავად რამდენად სერიოზულ პრობლემასაც არ უნდა ეხებოდეს ეს პროტესტი — მიმდინარე პროცესზე ექსპერტი ვახტანგ ძაბირაძე გვესაუბრება.

— **კონსტიტუცია**, ერთპარტიულია, რამდენიც არ უნდა ილაპარაკონ იმ ადამიანებმა, რომლებიც თითქოს სხვა პარტიის კუთვნილებას წარმოადგენენ. არაფორმალურად, შესაძლოა, სხვა პარტიას წამოადგენენ, მაგრამ რეალურად „ქართული ოცნების“ წევრები არიან. ისინი არიან არა ბლოკიდან, არამედ „ქართული ოცნების“ სიით გასული დეპუტატები და ეს ნიშნავს, რომ უმრავლესობის გუნდის წევრები არიან.

„ნაციონალურ მოძრაობას“ რაც შეეხება, მას არანაირი მორალური უფლება არა აქვს, საერთოდ, ხმა ამოიღოს კონსტიტუციაზე და დემოკრატიაზე, პოლიტიკასა და ადამიანების კეთილდღეობაზე, მაგრამ ეს სხვა საკითხია, სხვა თავსატეხია ქართველი საზოგადოებისთვის და ცალკე პრობლემაა.

მეორე პრობლემა ის არის, რომ „ქართული ოცნებაც“ აკეთებს იმას, რაც „ნაციონალურმა მოძრაობამ“ გააკეთა 2010 წელს.

— სოციალ-დემოკრატების“, „კონსერვატიული პარტიის“, „მწვანეთა პარტიისა“ და „მრეწველობა გადაარჩენს საქართველოს“ განცხადებამ, რომ ისინიც მონაწილეობდნენ საკონსტიტუციო პროცესში და არა მხოლოდ „ქართული ოცნება“, გააჩინა განცდა, რომ ამ ხელისუფლებამაც კარგად აითვისა ნაციონალების მიერ სატელიტი პარტიებით მანიპულირების გაკვეთილები. გამოდის, დღესაც ანალოგიური პრობლემა გვაქვს?

— ოპოზიციის ფლაგმანად დღეს დარჩა „ნაციონალური მოძრაობა“, რომელიც მიუღებელია მოსახლეობის აბსოლუტური უმრავლესობისთვის. ოპოზიციამ რომ დევალვაცია განიცადა და მოსახლეობაში გულგატეხილობაა, ეს სრულიად ლოგიკური მოვლენაა, მაგრამ ყველაზე ცუდი ის არის, რომ მთელ პოლიტიკურ სპექტრს, თავის უმრავლესობიანად, უფრო მეტი უარყოფითი რეიტინგი აქვს მოსახლეობაში, ვიდრე - დადებითი.

ეს იმას ნიშნავს, რომ მოსახლეობა მთელი პოლიტიკური სპექტრისადმი ამ ატაპზე ნეგატიურად არის განწყობილი. რა იქნება ხვალ, ვერ გეტყვით, ალბათ, შეიცვლება, მაგრამ დღესდღეობით ეს სიტუაციაა და ვერაფერს ვიზამთ, იმიტომ, რომ ოპოზიციამ უამრავი შეცდომა დაუშვა არა მხოლოდ ამ ოთხი წლის განმავლობაში, არამედ 2007 წლიდან მოყოლებული.

გარდა ამისა, საზოგადოებაში არ არის პროტესტის გრძნობა, რადიკალუ-

2017-2018 წლების ანტიკორუფციული სტრატეგია და ტაქტიკა

ანტიკორუფციული **რეფორმების შედეგად საქართველომ ყველაზე დიდ წარმატებას მიაღწია, ხოლო ევროპის ქვეყნებს შორის კორუფციის დონის ერთ-ერთი ყველაზე დაბალი მაჩვენებელი აქვს, რასაც არაერთი საერთაშორისო კვლევა და სულ ახლახან (19 სექტემბერს) „ღია მმართველობის პარტნიორობაში“ მიღწეული შთამბეჭდავი წარმატება ადასტურებს. კორუფციის დაბალი დონე და ამ კუთხით გატარებული რეფორმები გახდა სწორედ ერთ-ერთი მთავარი მიზეზი, რის გამოც საქართველო „OGP“-ის თავმჯდომარე გახდა და მომდევნო ერთი წლის განმავლობაში უხელმძღვანელებს ორგანიზაციას, რომლის შემადგენლობაშიც 75 ქვეყანაა.**

გამჭვირვალე და ანგარიშვალდებული საჯარო მმართველობის სისტემისა და კორუფციისაგან თავისუფალი გარემოს შესაქმნელად საქართველოში გატარებული მთავრობის კომპლექსური პოლიტიკა და თამამი ნაბიჯები წარმატებული და შედეგიანი იყო.

საქართველოს მთავრობა აცნობიერებს, რომ კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლა არ შეიძლება იყოს ერთჯერადი რეფორმა ან დროში შეზღუდული პროცესი. კორუფციასთან ბრძოლა და პრევენცია განგრძობადი პროცესია და ახლაც აქტიურად მიმდინარეობს. მთავრობის სხდომაზე 2017-2018 წლების ანტიკორუფციული სტრატეგია და სამოქმედო გეგმა დამტკიცდა.

მიღწეული შედეგების გათვალისწინებით საქართველო გადავიდა კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის ახალ ეტაპზე და ისევე, როგორც ევროპული დემოკრატიული სახელმწიფოებისათვის, ქვეყნის მთავარი ორიენტირია გამჭვირვალობისა და ანგარიშვალდებულების მაღალი დონის მიღწევა, ინფორმაციის ხელმისაწვდომობისა და მოქალაქეთა ჩართულობის გაზრდა, კორუფციის პრევენციის მექანიზმების კიდევ უფრო დახვეწა და სახელმწიფო მმართველობაში ტექნოლოგიებისა და ინოვაციების გამოყენება, საჯარო სამსახურის ცენტრალურ ხელისუფლებაში მიღწეული წარმატებებისა და უკანასკნელი წლების განმავლობაში დაგროვებული გამოცდილების გაზიარების მიზნით ანტიკორუფციული პოლიტიკის კოორდინირებულად განხორციელებაში მუნიციპალიტეტების ჩართვა.

ახალი ანტიკორუფციული სტრატეგია და სამოქმედო გეგმა შემუშავებულია კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის უწყებათაშორისი საკოორდინაციო საბჭოს ფარგლებში, რომელიც 38 სახელმწიფო უწყებას (მათ შორის, მუნიციპალიტეტებს), 14 არასამთავრობო და საერთაშორისო ორგანიზაციას და ბიზნესსექტორის სამ წარმომადგენელს აერთიანებს და კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის კუთხით არსებული გამოწვევების, რისკების ანალიზსა და შეფასებას და მათი გადაჭრის ეფექტიან საშუალებებს გვთავაზობს. ახალი ანტიკორუფციული სამოქმედო გეგმა 16 პრიორიტეტს, 60-ზე მეტ ღონისძიებას და 200-მდე აქტივობას მოიცავს.

ამ პრიორიტეტებიდან სამი კორუფციის პრევენცია სპორტის სფეროში, კორუფციის პრევენცია ინფრასტრუქტურულ პროექტებში, კორუფციის პრევენციის ხელშეწყობა მუნიციპალიტეტებში სრულიად ახალია საქართველოში და მისი მიზანია ერთიან ანტიკორუფციულ პოლიტიკაში რაც შეიძლება მეტი სექტორის ჩართვა. გარდა ამისა, ანტიკორუფციული საბჭოს გადაწყვეტილებით, ანტიკორუფციული პოლიტიკის ეფექტიანი იმპლემენტაცია და ანტიკორუფციული საბჭოს ძალისხმევა არ უნდა შეიფარგლოს მხოლოდ ცენტრალურ ხელისუფლების ორგანოებთან თანამშრომლობით, არამედ საჭიროა, სათანადო ყურადღება ადგილობრივ ხელისუფლებასთან თანამშრომლობასაც დაეთმოს.

2017-2018 წლების ანტიკორუფციული სტრატეგიის ამოცანებია:

საჯარო სამსახურში სამართლიანი ანაზღაურების სისტემის დანერგვა;

ანტიკორუფციულ საკითხებზე საზოგადოებასთან ურთიერთობის სტრატეგიის შემუშავება;

პროკურორთა ანაზღაურებისა და წახალისების გამჭვირვალე და ობიექტური სისტემისა და პერიოდული შეფასების მექანიზმის დანერგვა; აგრეთვე, პროკურორთა და მოსამართლეთა ეთიკის, ინტერესთა კონფლიქტისა და შეუთავსებლობის მარეგულირებელი ნორმების დახვეწა;

მოსამართლეთა დისციპლინური სამართალწარმოების ელექტრონული პროგრამის დანერგვა და მოსამართლეთა დამატებითი ანაზღაურების ბონუსების საკითხის გადაწყვეტა;

„საქართველოს საარჩევნო კოდექსისა“ და „მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის სანქციების ჰარმონიზაციისა და პროპორციულობის უზრუნველყოფა; ყველა სახის ადმინისტრაციული რესურსის არასათანადო გამოყენების თავიდან აცილების მიზნით შესაბამისი საკანონმდებლო ცვლილებების განხორციელება; პოლიტიკური პარტიების/საარჩევნო სუბიექტების ანგარიშვალდებულებების პროცესის დახვეწა;

ინფორმაციის თავისუფლების შესახებ კანონის მიღება;

ყველა მუნიციპალიტეტისა და საჯარო სამართლის იურიდიული პირის სახსრების მართვის ინტეგრირება საჯარო ფინანსების მართვის ერთიან ელექტრონულ სისტემაში;

ბიზნესის კეთილსინდისიერების საკითხებზე რეკომენდაციების შემუშავება ბიზნესსექტორის წარმომადგენლებისთვის;

ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამების გამჭვირვალობის გაზრდის მიზნით ადმინისტრირების მექანიზმების დახვეწა;

მუნიციპალიტეტებში სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს გაძლიერება;

ინფრასტრუქტურული პროექტების მაკონტროლებელი ორგანოების კონტროლის მექანიზმის გაუმჯობესება და სხვ.

ანტიკორუფციული სტრატეგია ეფუძნება საუკეთესო საერთაშორისო გამოცდილებას, საერთაშორისო ორგანიზაციების რეკომენდაციებს (მათ შორის, ევროპის საბჭოს კორუფციის წინააღმდეგ მებრძოლ სახელმწიფოთა ჯგუფის (GRECO), „ეკონომიკური განვითარებისა და თანამშრომლობის ორგანიზაციის ანტიკორუფციული ქსელისა“ (OECD-ACN) და არასამთავრობო (TI, IDFI, GYLA) ორგანიზაციების რეკომენდაციები), წინა სტრატეგიული დოკუმენტების შესრულების შეფასებისა და არასამთავრობო/საერთაშორისო ორგანიზაციების კვლევების ანალიზს. ის მოიცავს კორუფციის პრევენციის, კორუფციის კრიმინალიზაციისა და კორუფციასთან ბრძოლაში საერთაშორისო ურთიერთობების საკითხებს.

დიმიტრი ქუმსიშვილი საქართველოში უნგრეთის საგანგებო და სრულუფლებიან ელჩს შეხვდა

პირველი ვიცე-პრემიერი, ფინანსთა მინისტრი დიმიტრი ქუმსიშვილი საქართველოში უნგრეთის ახლად დანიშნულ საგანგებო და სრულუფლებიან ელჩს ვიქტორია ჰორვატს შეხვდა.

მხარეებმა ისაუბრეს ორ ქვეყანას შორის არსებულ სავაჭრო-ეკონომიკურ ურთიერთობასა და სამომავლო თანამშრომლობის საკითხებზე. დიმიტრი ქუმსიშვილმა უნგრეთის ელჩს საქართველოში მისიის დაწყება მიულოცა და მომავალ საქმიანობაში წარმატება უსურვა.

პირველმა ვიცე-პრემიერმა სტუმარს გააცნო ქვეყნის ეკონომიკური მდგომარეობა და ისაუბრა საქართველოს მთავრობის 4-პუნქტიანი გეგმით მიმდინარე და დაგეგმილ ეკონომიკურ რეფორმებზე, რომელთა მიზანიც ქვეყნის ეკონომიკის ზრდის დაჩქარებაა. როგორც შეხვედრაზე აღინიშნა, მნიშვნელოვანია თანამშრომლობის გააქტიურება ერთობლივი საინვესტიციო პროექტების განხორციელების კუთხით. უნგრეთის ელჩმა გამოთქვა მზადყოფნა, აქტიური წვლილი შეიტანოს ორ ქვეყანას შორის თანამშრომლობის გაღრმავებაში.

რი განწყობა. ეს ნელ-ნელა ყალიბდება, ჩვენდა სამწუხაროდ, რასაც მივყავართ იქამდე, რომ ხვალ, ან ზეგ ისევ და ისევ ქუჩაში გადავა პოლიტიკური პროცესები — რაც ვერაფრით დავასრულეთ ამ 30 წლის განმავლობაში.

— ოპოზიცია ამბობს, რომ ხალხი უკმაყოფილოა ამ კონსტიტუციით. ხალხი ამბობს, რომ ის უკმაყოფილოა სოციალურ-ეკონომიკური პრობლემებით, არ მოსწონს ნეპოტიზმი, ჩინოვნიკების ხელფასები, პრემიები და ა.შ. დღეს ხალხი არ ლაპარაკობს კონსტიტუციაზე. თუ ოდესმე დაემთხვა ხალხისა და ოპოზიციის საპროტესტო საგანი ერთმანეთს, ეს ოპოზიციაც მისაღები გახდება საზოგადოებისთვის? ვგულისხმობ ისევ „ნაციონალურ მოძრაობას“, რომელიც დომინირებს ოპოზიციურ სივრცეში...

— ბუნებრივია, დღეს ხალხს კონსტიტუცია არ აინტერესებს და არ აწუხებს, მაგრამ ის, რაც აწუხებს მას და თქვენ ეს ჩამოთვალეთ, იმ კონსტიტუციიდან მოდის. ჩვენი ხალხი ამას ერთმანეთთან, სამწუხაროდ, ვერ აკავშირებს.

ის, რომ ამას ერთმანეთთან აკავშირებდეს, 20 და 30 კაცი კი არა, ნახევარი საქართველო უნდა იყოს პარლამენტთან მობილიზებული. როდესაც სიტუაცია გახდება გაუსაძლისი, მაშინ ხალხი კონსტიტუციის კი არა, მთავრობის შეცვლას მოითხოვს.

ჯერჯერობით ხელისუფლების შეცვლას ხალხი არ ითხოვს, თუმცა, მასზე გულაყრილია, მაგრამ ხვალ აუცილებლად დადგება ეს საკითხი.

ის, რაზეც ახლა ვსაუბრობთ, არის ურთულესი პრობლემა — ვერ შევძელით მთელი 30 წლის მანძილზე ამ ორი ფაქტორის ერთმანეთთან დაკავშირება.

ნეპოტიზმი, ხელფასები და ა.შ. იმის მიმანიშნებელია, რომ როდესაც შენ არ შეგიძლია შეცვალო ხელისუფლება, ის აკეთებს იმას, რაც მოესურვება და ამის საშუალებას აძლევს მას კონსტიტუცია. ეს არის ჩაკეტილი წრე. როცა მივხვდებით, რომ ამ წრიდან უნდა გამოვიდეთ, სურვილის გარდა კიდევ გონებაც არის საჭირო. როდესაც ამ კონდიციამდე მივალთ, ამ ჩაკეტილი წრიდანაც გამოვალთ. წინააღმდეგ შემთხვევაში, ისევ გავალთ ქუჩაში, ჩამოვაგდებთ ხელისუფლებას, მოვა ახალი, მაგრამ კონსტიტუციაში ყველაფერს დატოვებს ისე, როგორც იყო.

— ოპოზიცია სწორ აქცენტებს არ აკეთებს იმისათვის, რომ მომავალში ისევ საკუთარი საზოგადოებისთვის გამოიყენოს ძალაუფლების შენარჩუნების გარანტორი კონსტიტუცია?

— ოპოზიცია კი აკეთებს სწორ აქცენტებს, მაგრამ საზოგადოება ვერ აკავშირებს ერთმანეთთან ნეპოტიზმსა და კონსტიტუციას — სოციალურ პრობლემებსა და უმუშევრობასთან კონსტიტუციის ბმას ვერ ხედავს.

ამიტომ, ყვირის იმაზე, რაც მას აწუხებს და ვერ ხვდება, რომ ამ წუხილის მიზეზი, ვიდრე არ გასწორდება მისი პრობლემები, არ მოიხსნება. არ აპროტესტებს კონსტიტუციას, რადგან თვლის, რომ ეს ფარატინა ქაღალდია და მეტი არაფერი, მაგრამ, სამაგიეროდ, ხელისუფლების შესაცვლელად გამოდის ქუჩაში.

— რაც შეეხება ქართული და საერთაშორისო საზოგადოების მოტყუების თემას — ეს არის კიდევ ერთი ბრალდება, რომელიც ისმის ოპოზიციის მიერ — თუკი ვსაუბრობთ ვენეციის კომისიის რეკომენდაციებზე, რეკომენდაცია ნიშნავს, სურვილის შემთხვევაში მის გათვალისწინებას. გამოდის, რომ საერთაშორისო საზოგადოება მოვატყუეთ, რაკი ზოგიერთი მათგანი არ გავითვალისწინეთ, როგორც ამას ამტკიცებს სერგო რატიანი?

— სერგო რატიანი იმ პოლიტიკურ ძალას ეკუთვნის, რომელიც უარესად იქცეოდა და არც კონსტიტუციას ითვალისწინებდა — 2010 წელს გაითვალისწინა ვინმემ რამე?!

ჩვენი პრობლემა კიდევ ისაა, რომ ისინი გველაპარაკებიან დემოკრატიაზე, ვისაც ხელისუფლებაში ყოფნის დროს დემოკრატია სასაცილოდ მიაჩნდა...

მოატყუა თუ არა, ეს არ ვიცი — ჰპირდებოდნენ — გავითვალისწინებთო, მაგრამ არ გაითვალისწინეს.

— როგორი გაგრძელება შეიძლება მოჰყვეს ამ ყველაფერს, თუ პრეზიდენტის ვეტო გახდება აქტუალური თემა, ესეც დაიძლევა, შემდეგ რა იქნება?

— პოლიტიკური პროცესი წავა თავისი გზით, კონსტიტუცია დარჩება თემად, რომელზე ლაპარაკიც დავამთავრეთ. არ მგონია, ოპოზიციას დღეს ჰქონდეს იმის რესურსი, რომ რაიმე ახალი ძალა შესძინოს ამ საკონსტიტუციო პროტესტს. ეს პროცესი სხვა ფორმატში უნდა გადავიდეს, ჩვენი ოპოზიცია დიდი ფიქრითა და სიბრძნით არ გამოირჩევა, სამწუხაროდ, და მთელი ამ ხნის განმავლობაში ტრაფარეტულად ვითარდება პროცესები — პროტესტი, მთავრობის ლანძღვა, ქუჩა — რაღაც სიახლე ან ტაქტიკაში ან სტრატეგიაში, სამწუხაროდ, არ ჩანს.

თუმცა პოლიტიკური პროცესი ნელ-ნელა მიდის იქით, რომ ხვალ-ზეგ ისევ ქუჩაში გადავალთ. ხელისუფლებას აქვს თუ არა უნარი ეს პროცესი შეაჩეროს, უკვე საეჭვოა, იმიტომ, რომ საკმაოდ ღრმად წავიდა პროცესი. თუმცა ვნახოთ, თუ მცდელობა იქნება, შეიძლება რაღაც გამოვიდეს კიდეც.

ესაუბრა
ლალი ზირაქიშვილი

პარადოქსების ეკონომიკა და ხალხის გამლატაკებელნი

სამამულო ეკონომიკის ერთ-ერთი ყველაზე მძლავრი, წარმატებებით გამორჩეული სეგმენტი წლების მანძილზე საბანკო სფეროა. მის შემოსავალთან და, მით უმეტეს, მოგებასთან, ეკონომიკის ვერც ერთი მეტ-ნაკლებად წარმატებული სხვა დარგი, ვთქვათ, სამოქალაქო მშენებლობა, ტრანსპორტი და კავშირგაბმულობა ვერ მივა!

ეროვნული ეკონომიკის სისუსტე, ერთი მხრივ, საბაზრო ურთიერთობების პრინციპების ბოლომდე დაუმკვიდრებლობითაცაა განპირობებული და იმითაც, რომ კომერციული ბანკების ყოვლისშემძლეობის პირობებში, რასაც ბოლო დრომდე დიდწილად მთავრობისა და ეროვნული ბანკის მიერ გატარებული პოლიტიკა, ასევე კანონმდებლობის არასრულფასოვნება უწყობდა ხელს, მათი რესურსების ნაკადის უდიდესი ნაწილი წარმოების ხელშეწყობაზე არაა მიმართული. პარადოქსი ის არის, რომ სამამულო კომბანკების შემოსავლის ძირითადი ნაწილი არა ეკონომიკის დაფინანსებიდან, არამედ... სხვადასხვა სახეობის მომსახურებიდან დიდი ოდენობით მომხმარებელთათვის ძალმომრეობით „ახეული“ პროცენტებისგან, ასევე ნაირ-ნაირი ჯარიმა-საურავებისგან შედგება. ასეთი დისბალანსი, ცხადია, ეკონომიკის სტაბილურობას, მით უმეტეს რამდენადმე საგრძნობ ზრდას ხელს არანაირად არ უწყობს.

ბანკებისა და სამამულო ეკონომიკის განვითარებასთან დაკავშირებულ პრობლემას ცოტა ხნით გვერდზე თუ გადავდებთ და კომბანკებისა და მოსახლეობის ურთიერთობას გადავავლებთ თვალს, დავინახავთ, რომ მდგომარეობა საკმაოდ მძიმეა. საქმე ისაა, რომ **მოსახლეობის სამ მეოთხედზე მეტს მათი და სხვა სამევახშეო დაწესებულების ვალი აქვს.** აქვე იმასაც ვიტყვი, რომ ბევრისგან მსმენია — რა გიკვირს მერე, ამაში საგანგაშო განა რა ნახე, უცხოეთის განვითარებულ ქვეყნებში უამრავი ადამიანი კრედიტების ხარჯზე მშვენივრად ცხოვრობს და სადარდებელიც არა აქვსო. კი ბატონო, საკუთარი ბინის უქონლობასაც ბევრი არ ჩივის, ქირით ცხოვრობს, კრედიტებსაც იღებს, მაგრამ ამ დროს მთავარი ისაა, რომ ამ დროს ისინი მყარი შემოსავლით არიან უზრუნველყოფილი. ნურც ის დაგვავიწყდება, რომ განვითარებულ ქვეყნებში, როგორც წესი, სოციალური უზრუნველყოფის სისტემაც სათანადო დონეზეა. ამდენად, იქაური საფრთხეების საქართველოსთან შედარება, სხვა თუ არაფერი, სრული უსინდისობაა. ჩვენში სესხის უზრუნველსაყოფად ჩადებული უძრავი თუ მოძრავი ქონების დაკარგვის საფრთხე იმდენად მაღალია, რომ ამას (ჯერ კიდევ როდის!) ყურადღება საერთაშორისო სავალუტო ფონდმაც მიაქცია, რომლის რეკომენდაცია — **საცალო სამომხმარებლო სესხის გაცემისას კომერციული ბანკი ნებისმიერი მსესხებლის შემოსავლის მიღების შეესაძლებლობას უნდა ითვალისწინებდეს და პროცენტულად მის გარკვეულ ნაწილს არ უნდა აღემატებოდეს, თანაც საჭიროა მსესხებლის ასაკის გათვალისწინებაც,** — რაც დღემდე, ფაქტობრივად, უგულებელყოფილია. შედეგი კი მოსახლეობისთვის მეტად მძიმეა, რასაც ის გარეგანებაც ართულებს, რომ საბანკო კრედიტების აბსოლუტური უმრავლესობა არა ეკონომიკური მიზნებისთვის, არამედ სამომხმარებლო სახისაა. ამდენად, ცხადია, დიდ-პატარიანად 3,5 მილიონი მოსახლის პატრონი ქვეყნისთვის, 8 მილიარდი დოლარის ვალი, საიდანაც ნახევარი ფიზიკური პირების მიერაა აღებული(!) ნამდვილად ძალიან ბევრია. ხალხი ბანკების ვალებს ვერ იხდის და სწორედ ამის გამო იყო, რომ უსინდისო ბანკები შარშან თითქმის 160 მილიონი ლარის, 2017 წლის პირველ ნახევარში კი უკვე 200 მილიონი ლარის ქონებას დაეპატრონნენ.

აქ კი კიდევ ერთ უმნიშვნელოვანეს თემას მივადექით, რომელიც კომერციული ბანკების მიერ სამამულო ეკონომიკის არა თუ განვითარების, არამედ მისი ჯეროვნად, თავისუფალი ბაზრის პრინციპებზე დამყარებული ურთიერთობის მძლავრ მუხრუჭს წარმოადგენს. მხედველობაში მაქვს კომბანკების მიერ არაპროფილური აქტივების ფლობა, რომელიც კანონმდებლობით თითქოს აკრძალულია, მაგრამ ის იმდენად არასრულყოფილია, რომ მისი გვერდის ავლა არანაირ პრობლემას არ წარმოადგენს. არაპროფილური აქტივების პირდაპირი ფლობა, საქართველოს ეროვნულმა ბანკმა 2014 წლის ბრძანებით აკრძალა. თუმცაღა, მასში იმდენი „შავი ხვრელია“, რომ მისი გვერდის ავლა და არაპროფილური ბიზნესის შენარჩუნება თუნდაც შვილეული კომპანიის შექმნის გზით, კომბანკებისთვის არანაირ სირთულეს არ წარმოადგენს. ეს რომ ასეა, ამის შესახებ მთელი ამ ხნის მანძილზე ყველასთვის კარგად იყო ცნობილი, მაგრამ ვითარების კანონის ჩარჩოებში მოსაქცევად აქამდე დიდად არავინ არ გარჯილა. ამის დასტურია თუნდაც რამდენიმე დღის წინათ გამართულ პარლამენტის სხდომაზე საქართველოს ეროვნული ბანკის ვიცე-პრეზიდენტის **მურთაზ კაკულიას** განცხადება, რომელმაც, კერძოდ, აღნიშნა, რომ ბანკის აქციონერთა ინვესტიციები ეკონომიკის რეალურ სექტორში პრინციპული საკითხია, რომელიც მთავრობასა და შესაბამისი სექტორში მოღვაწე მრეწველებთან დამატებით განხილვასა და შეჯერებას საჭიროებს. მისივე თქმით, **ის მარტო ეროვნულ ბანკთან დაკავშირებული რისკების თემა არ არის და ზოგადად ქვეყანაში კონკურენტუნარიანი გარემოს ჩამოყალიბების საკითხია.** პარლამენტის განსახილველად წარდგენილი კანონპროექტით, კომერციულ ბანკებს არამარტო ეროვნული ბანკის თანხმობით არაპროფილური აქტივების 20-პროცენტიანი წილების ფლობის, არამედ ამ ტიპის კომპანიების მართვაში მონაწილეობის უფლება საერთოდ ჩამოერთმევათ. ეს კი, ცხადია, გაცილებით გაუადვილებს კომბანკებისგან სახსრების მოპოვებას დამოუკიდებელ კომპანიებს, ფინანსურ ბაზარზე კონკურენტულ გარემოსაც საგრძნობლად გააჯანსაღებს.

ვნახოთ, რა მოელის გაღატაკებულ მოსახლეობას!

ოთარ ტურაბელიძე

ბანკები მიწებს მაინც დაეპატრონებიან!

ბანკებმა ჯერ მთავრობას მოახვიეს თავზე თავისი პოზიცია და ახლა პარლამენტშიც წარმატებით აღწევენ საწადელს. „სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის საკუთრების შესახებ“ კანონში დაგეგმილი ცვლილებები საკანონმდებლო ორგანოში პირველი მოსმენით უპრობლემოდ გავიდა და მალე დამტკიცდება კიდეც. კომერციულ ბანკებს ექნებათ უფლება, სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე საკუთრების უფლების მოპოვებიდან ორი წლის ვადაში შესაბამის უფლებამოსილ პირზე გაასხვისონ.

პარლამენტში წარდგენილი ცვლილებებით ასევე გათვალისწინებულია მთავრობისთვის დისკრეციული უფლებამოსილების მინიჭება, გამონაკლისის დაშვებასთან დაკავშირებით. ასეთ შემთხვევაში, დაინტერესებულმა პირმა შესაბამისი არგუმენტებით უნდა მიმართოს დარგის პოლიტიკის განმახორციელებელ აღმასრულებელი ხელისუფლების შესაბამის დაწესებულებას, რომელიც საკითხის შესწავლის შემდგომ, საკითხს განსახილველად და საბოლოო გადაწყვეტილების მისაღებად მთავრობას წარუდგენს.

მთავრობაში მორატორიუმის პრინციპების დამახინჯებასთან დაკავშირებით რაიმე პრობლემას ვერ ხედავენ. როგორც პრემიერი, ასევე იუსტიციის მინისტრი მიიჩნევენ, რომ ამ მცირე დეტალით არაფერი იცვლება.

„ამ წუთში ბანკებს აქვთ პრობლემები და იმისთვის, რომ საქართველოში მომუშავე ბანკებმა არ გააჩერონ თავიანთი საქმიანობა, შედის გამოცხადებულ მორატორიუმში მცირედი ცვლილება. იგი გულისხმობს შემდეგს: თუკი ქართველ გლეხს დასჭირდება საქართველოში მოქმედ ბანკში ჩადოს თავისი სასოფლო-სამეურნეო მიწა და მიიღოს სესხი, ბანკმა შეძლოს დროებით ასეთი ქონება დაისაკუთროს, მაგრამ ბანკს აეკრძალება, ეს მიწა უცხოელებზე გაიყიდოს. ამიტომ წმინდა წყლის სპეკულაციებია, რომ ეს ცვლილება მორატორიუმში რამეს ცვლის. პრინციპი იყო და რჩება იგივე — საქართველოში არის სასოფლო-სამეურნეო მიწის მცირე რესურსი, ის უნდა იყოს დაცული და არ შეიძლება მისი განიავება. ეს არის საქართველოს პრემიერ-მინისტრის მიერ გაზიარებული პოზიცია“, — აცხადებს იუსტიციის მინისტრი თეა წულუკიანი.

მინისტრი ამტკიცებს, რომ სასოფლო-სამეურნეო მიწები არ უნდა გაიყიდოს იმ უცხოელებზე, რომლებიც, უბრალოდ, იმ მიზეზის გამო ჩამოდიან ხანდახან საქართველოში, რომ შეჭირვებული ქართველისგან შეიძინონ მიწა და გამოკვებონ თავიანთი ოჯახი, რადგან საკუთარ ქვეყანაში არა აქვთ საკმარისი მიწა, რომ მოიყვანონ კარტოფილი ან თუნდაც სიმინდი.

სპეციალისტები მთავრობის წევრთა ასეთ პათოსს ვერაფრით იზიარებენ. მორატორიუმის დასრულებამდე არანაირი სახის გამონაკლისი მართებულად არ მიაჩნია პროფესორ **ჯუმბერ ფანჩულიძეს**. მისი აზრით, ხელისუფლებას საერთოდ არ აღელვებს ქართული მიწა დაშესაბამისადაც იქცევა.

„მორატორიუმი თუ გამოცხადდა, იგი ვრცელდება გარკვეული პერიოდი და გამონაკლისის დაშვება საერთოდ წარმოუდგენელია. ნებისმიერი დათმობა არის ნონსენსი, ყოველგვარ ლოგიკას მოკლებული. მაშინ საერთოდ რატომ ვაცხადებთ მორატორიუმს? ეს არის უბადრუკი გადაწყვეტილება. ხელისუფლებას არ აღელვებს ქართული მიწა და შესაბამისადაც იქცევა. რატომ არ ჯდებიან მორატორიუმის ჩარჩოებში არ მესმის. ბოლომდე ვარ დარწმუნებული, რომ მათ დათმობა ბანკებმა აიძულეს“, — აღნიშნა ფანჩულიძემ.

ბექა დანელია

ფრინველებზე დაკვირვების საერთაშორისო ფესტივალი

აჭარაში ფრინველებზე დაკვირვების მეექვსე საერთაშორისო ფესტივალი მიმდინარეობს. სოფელ ჩაისუბანში, სადაც ფრინველებზე დასაკვირვებლად სპეციალური პლატფორმაა მოწყობილი, სტუმრებისთვის მიღება გაიმართა. აჭარის ტურიზმის დეპარტამენტისა და ფრინველებზე დაკვირვების მიმართულებით ჩართული ორგანიზაციების წარმომადგენლებმა რეგიონში ფრინველებზე დაკვირვების ტურიზმის მიღწევებისა და გადამფრენი მტაცებელი ფრინველების შესახებ პრეზენტაციები ჩაატარეს.

ღონისძიებას 25 ქვეყნიდან მოწვეული უცხოელი და ქართველი ორნითოლოგები, მოხალისეები, ტურისტები, გიდები, ასევე კერძო და სახელმწიფო სტრუქტურების, ტურისტულის სააგენტოებისა და არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები დაესწრნენ. სტუმრებს საშუალება მიეცათ, თავადაც დაკვირვებოდნენ გადამფრენ ფრინველებს.

„აჭარის ვიწრო საიმიგრაციო დერეფანში მილიონზე მეტი მტაცებელი ფრინველი მიგრირებს ყოველწლიურად, რის სანახავადაც რეგიონს მეცნიერები, ტურისტები და მოხალისეები მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნებიდან სტუმრობენ. მაგალითად, წელს ჯამში 25 ქვეყნიდან გვეწვია ტურისტები, მათ შორის ბელგიიდან, ჰოლანდიიდან, ინგლისიდან, ესპანეთიდან, იტალიიდან და სხვა ქვეყნებიდან. შესაბამისად, მზარდია ყოველწლიურად აჭარაში ფრინველებზე დაკვირვების მიზნით ჩამოსული ადამიანების სტატისტიკაც. მაგალითად, გასულ წელს, სოფელ სახალვაშოში არსებულ 20-ზე მეტ საოჯახო-სასტუმრო სახლში 1500-ზე მეტი ღამისთევა დაფიქსირდა. წელს კი ამ მონაცემების გაუმჯობესებას ველოდებით,“ — აღნიშნა აჭარის ტურიზმის დეპარტამენტის თავმჯდომარე სულხან ღლონტმა.

ᲒᲖᲐ ᲡᲘᲙᲔᲗᲘᲗ ᲒᲐᲕᲚᲘᲚᲘ

ᲮᲐᲛᲡ ᲛᲝᲧᲕᲐᲠᲔ ᲛᲝᲧᲕᲠᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲠᲣᲡᲗᲐᲕᲔᲚᲘ

ფესვები

ᲘᲡ-ᲘᲡ ᲘᲧᲝ რუსთავის მზე ამოდიოდა, უფრო ამოსულიც კი იყო, ჩვენებური გლეხი რომ იტყოდა, შუბის ტარზეც იდგა.

მონადირენი ჯერ ისევ, უკვე კანტიკუნტად, მაგრამ მყარად დადიოდნენ „ტურა-მგელ-კურდღლებზე“ საკურდღლაოდო, როგორც ეს ქართული სიტყვის დიდოსტატმა კონსტანტინე გამსახურდიამ თავის დიდებულ კოლხურ კოშკში ბრძანა ჩემთან ინტერვიუში.

ხუთი ათასი მზეჭაბუკი, ისევ იმ მზეკაცის ნებით რუსეთისა და უკრაინის მეტალურგიულ ქარხნებში ნაწრთობნი, დაოსტატებულნი, ქართული ფოლადის ამღორძინებელნი, ხალიბთა ღირსეული შთამომავალნი უკვე უბრუნდებოდნენ თავიანთ მომავალ ქალაქს. იმათ კი წინ უძღოდნენ ლეგენდარული მეტალურგი, ქართული მეტალურგიის მოჭირნახულე ნიკოლოზ ქაშაკაშვილი, ნიკოლოზ გომელაური, სოლომონ შარაშენიძე; ცნობილი მეფოლადეები შალვა კუხალეიშვილი, გიორგი სიგუა, ამირან ფანცულაია, ვანო მეტრეველი, კიდევ ბევრნი, ქართული ფოლადის კერას რომ აცოცხლებდნენ.

ჰოდა, საქართველოს ყველა კუთხიდან — აჭარა-აფხაზეთიდან, ქართლელ-კახელნი ხომ აქვე იყვნენ ყურისძირში, გურია-სამეგრელოდან, იმერეთიდან, ფშავ-ხევსურეთიდან ერთიანად დაიძრნენ მოწიფული ქალ-ვაჟნი, ჩამოზვავდნენ, ჩამოზვავდნენ, რომ ნაქალაქარზე თვითონაც მამაპაპური კერა გაეჩაღებინათ, ღირსეულად აეღორძინებინათ უჟამობისაგან გაჩანაგებული, გაუდაბურებული ნაქალაქარი, დავით აღმაშენებლის მიერ თავის დროზე დიდი ჭყონდიდელის მხედრული ნიჭით ვერაგ მტერთაგან გამოხსნილი და რუსთაველის გენიით აგიზგიზებული. ქვეყნის აღმოსავლეთის ბურჯი და კარიბჭე.

იმ ათასობით გულანთებულ მამულიშვილთან ერთად, ახალი ქალაქის ამღორძინებელთა რიგებში ჩადგა და ღირსეულად დამკვიდრდა ვანო ტაბაღუა, რომელსაც გზას უკვალავდა უფროსი ძმა როდიონი, ეგრეთ წოდებული ოცდაექვსიანელთა ღირსეული წარმომადგენელი მეტალურგი. გამოხდება ხანი და ვანო 3 ვაჟითა და 1 ქალიშვილით, როდიონი 2 ვაჟკაცით, შემდგომში კი შვილიშვილებითა და შვილთაშვილებით გამრავლდებიან ტაბაღუების გვარ-ჯილაგისანი.

თითქოს განგების ნებაა, უძველესი კოლხური მიწიდან, სამეგრელოს სამეფო ქალაქ ციხეგოჯიდან, სადაც მეფობდნენ ლეგენდარული აიეტი, წათე პირველი და ქუჯი და სხვა სწორუპოვარნი, იქიდან აყრილი, აფრენილი მზეჭაბუკები რუსთავში, არიშის ციხის მეციხოვნეებად შემართულნი, ღირსეულად გააგრძელებენ, უფრო აამაღლებენ საკუთარი მოდგმის სახელსა და ღირსებას.

უნდა ვაღიარო, 1952 წლიდან, მეც იმ 26-იანელებთან, იმ ღირსეულ რუსთაველებთან, ძმებ ტაბაღუებთან ერთად ჩავდექი ახალი ქალაქის ამღორძინებელთა რიგებში, იმ დღეებიდან დავუმეგობრდი ტაბაღუების საგვარეულოს თავკაცებს. ამადაც ვიცი მათი გზანნი კეთილნი...

ძმებმა ვანო და როდიონ ტაბაღუებმა დიდი წვლილი შეიტანეს ინდუსტრიული ქალაქის აღორძინების საქმეში და ღირსეულადაც ჩაეწერნენ რუსთავის მატიანეში. და მაინც ერის სასიკეთოდ ის მიმაჩნია, რომ ვანო 3 ვაჟით და ერთი ქალიშვილით, როდიონი კი ორი ვაჟით, შემდგომში შვილიშვილებითა და შვილთაშვილებით რომ მრავლობენ, ეს ხომ ჯიშისა და გენის უკვდავებაა.

ჯანსაღ სხეულში ჯანსაღი სულია!

ᲙᲐᲚᲐᲛᲘ კი ერთ-ერთი მათგანის, და არა მარტო გვარში რჩეულის, არამედ თვალსაჩინო საზოგადო წარმატებამ ამაღებინა.

ამ დღეებში ქალაქის სხვადასხვა უბნებში, გამორჩეულ ადგილებზე, პროსპექტებზე კეთილღიმილფენილი, ჯმუხი ვაჟკაცის სურათებიან ბანერებს აქვს დაპყრობილი.

ეს კი ქალაქის მომავალი მერობის ერთ-ერთი კანდიდატი, ღირსეული მამის ნუგზარის ღირსეული ვაჟი ირაკლი ტაბაღუა გახლავთ.

შებედო და იტვირთო იმ ქალაქის მერობა, სადაც ეროვნულ გმირს, დიდ მამულიშვილს ჟიული შარტავას უმოღვაწია, ეს მართლაც უკვე გმირობაა.

აი დღეს ათასი ვინმე იქაჩება მერის სავარძლის დასაპყრობად, ასეც არის, მთელმა რიგმა ვაიპარტიებმა თავიანთი კანდიდატები „გამოფინეს“.

პირადად მე, როგორც ჟურნალისტს, მრავალ თანამოქალაქესთან მიწევს შეხვედრები, აზრთა გაზიარება.

საზოგადოებასაც აქვს ყველა მათგანთან შეხება, ბევრი ახლოსაც იცნობს იმ „პარტიების“ კანდიდატებს, რომლებსაც პარტია კი ჰქვია, მაგრამ ერთი ნაკლი აქვთ, თავიანთ რიგებში თითო-ოროლა კაცი თუ ჰყავთ. მე პიროვნულად არ ვეხები მერობის იმ პარტიათა წამოყენებულ კანდიდატებს, თვით ნაციონალების წარმომადგენლებს, რას ვერჩი, იქნებ რაღაცას გამოჰკრან ხელი, ისე კი დღეს, იმ 9-წლიანი ჯოჯოხეთის შემდეგ, იყო ნაციონალი, მართლაც უკიდურესი თავხედობაა.

როდესაც ავწონ-დავწონე ყოველივე, წარსულს მზერა გადავავლე, ხვალინდელიც გავითვალსაზრისე, ლამის საუკუნოვანი ცხოვრებისეული ავ-კარგი შევთარჯე, გავიგულისყურე, გულწრფელად გამიკვირდა, რომ ისეთი კეთილი, თბილი, ადამიანური ადამიანი რომ აღმოაჩინეს, ჩვენს ამ საოცრად ურთულეს, აბურდულ, ერთიანად აფორიაქებულ დროში.

დიახ, ირაკლი ტაბაღუა, ეს ახალგაზრდა, მაგრამ ცხოვრებისეული გამოცდილებით დატვირთული, სიკეთით მავალი, ნაღდი ოჯახის მოჭირნახულე, დღევანდელ ეკლიან ბილიკებზე ნავალი, მართლაც რომ აღმოჩენაა. არ დავმალავ მის მიმართ სიმპათიას, ირაკლის კაცურკაცობაში წინაპრების, ანუ ბაბუას, მერე მამისა და ბიძების, ბიძაშვილების დიდი წვლილიცაა. მერობის კანდიდატი ირაკლი ტაბაღუა არის ჩამოყალიბებული, ნაწრთობი, მრავალმხრივ განათლებული, საქმის მცოდნე ადამიანი.

რომ შვილი სჯობდეს მამასა...

ᲰᲝᲓᲐ, რაკი მამულს ასე ურჩევნია, ირაკლიმაც ივაჟკაცა, რთული, მაგრამ ვაჟკაცური შრომითი გზა განვლო და ღირსეულადაც შეაბიჯა მოწიფულობის ასაკში.

წარჩინებით დაამთავრა რა ივანე ჯავახიშვილის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკის ფაკულტეტი, მოიპოვა კიდევაც ეკონომიკის მაგისტრის აკადემიური ხარისხი, პარალელურად შრომით საქმიანობას ეწეოდა, სამშენებლო ფირმა „დავით აღმაშენებელში“ ბროკერად, მერე კი „ქალაქის საგადასახადო ინსპექციის ინსპექტორი გახდა.

მომდევნო წლებში რუსთავის მერიის ეკონომიკური რეფორმების შტაბის აღმასრულებელი მდივნის თანამდებობა ეკავა.

ყველაზე ნაყოფიერი მაინც ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურში საქმიანობა გამოდგა. ამ თანამდებობაზე მას მუშაობა მოუხდა თბილისში, ბათუმში, რუსთავში და რიგითიდან დეპარტამენტის უფროსადაც დაწინაურდა.

ბოლო დრომდე ეკავა საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის საგადასახადო მონიტორინგის დეპარტამენტის უფროსის მოადგილის თანამდებობა. ერთი სიტყვით, ეს იყო გამოცდილებათა მოგროვების წლები, რაც ესოდენ აუცილებელია ისეთი სამრეწველო და დიდი პოტენციის მქონე ქალაქის თავკაცობისთვის.

ის, რომ შესანიშნავი ოჯახის მამაა და თავკაცია, მამულს შვილს რომ უზრდის და ტაბაღუების გვარის ტრადიციების დიდი გამგრძელებელიც რომაა, ესეც კაცობის განძია.

მიკერძოებაში რომ არ ჩამომერთვას, რისთვისაც მავანნი ძალისხმევას არ დაიშურებენ, განსაკუთრებით შავბნელის გამხმოვანებლები, მეც მივდექ-მოვდექი და გავიკითხ-გამოვიკითხე, თუ როგორ აფასებენ მომავალი მერობის კანდიდატს, საზოგადოებრივი აზრი მოვიძიე და პირველი, ვისაც გავესაუბრე **დამსახურებელი მშენებელი, ღირსებისა და სხვა ორდენმედლებით მკერდდამშვენებული კაცი მურად გოგატიშვილი იყო.**

— ხომ იცით, მშენებელი კაცის ამბავი, ლამის ყველას ავ-კარგი მიგროვდება, რაც შეეხება ნუგზარს და მის და-ძმებს, იმათაც მეორე და მომდევნო თაობის ტაბაღუებთაგან ბევრს ვიცნობ, გამიხარდა, ჩემი მეგობრის ვაჟის ირაკლის კანდიდატურა მერად რომ დაასახელეს. დღეს რუსთავს ასეთი გულმართალი, ჭეშმარიტად შემართებული თავკაცი სჭირდება, ის მეტისმეტად კეთილია, ალალი გულისა... ალბათ, მერობას ალღოს მალე აუღებს, ნიჭიერი კაცია და მართვის ხელოვნებასაც ფლობს.

— პირადად არ ვიცნობდი, — მეუბნება **ვალერიან გრძელიშვილი, რუსთავის საპატიო მოქალაქე, ისიც ღირსების ორდენოსანი, ღვაწლმოსილი ადამიანი,** — ტაბაღუებს როგორ არ ვიცნობდი, ვანო და მე ერთ საქმეს ვემსახურებოდით, თვით ირაკლის არ ვიცნობდი, მაინც გავიკითხ-გამოვიკითხე, ყველამ მხოლოდ კარგი მითხრა მასზე, მერე პირადად შევხვდი, ალღომ არც ამჯერად მიმტყუნა, კეთილი გულისა და სიკეთის კაცი რომ არის, ერთი ნახვითაც ამოიცნობა, დღეს რუსთავს სწორედ ასეთი შემართების კაცი სჭირდება.

— ნამდვილად კარგია, თუ რუსთავს ამჯერად ეკონომისტი, თანაც გამოცდილი მერი ეყოლება. რამდენადაც ვიცი, ირაკლი ტაბაღუა პროფესიონალია, თანაც ახალგაზრდა, რაც ახალგაზრდობას სტიმულს მოგვცემს, ის უფრო გაგვიგებს, მომავალი თაობის რუსთაველებს გულის ძახილს მიგვიხვდება, არადა, დღეს ჩვენი ახალგაზრდობის სატკივარი უმუშევრობაა. ირაკლი სპორტულ ცხოვრებასაც გაგვიხალისებს. — გვიზიარებს თავის შეხედულებას **ახალგაზრდა იურისტი და ბიზნესმენი ზურაბ ლომიძე.**

თავისებურად აღიქვამს მერობის კანდიდატად ირაკლი ტაბაღუას დასახელებას ჟურნალისტი, მწერალი, რუსთავის საპატიო მოქალაქე თინათინ სიყმაშვილი: „რუსთაველ ტაბაღუებს ყველას არა, მაგრამ ვისაც ვიცნობ, ვიცნობ, როგორც ღირსეულ ადამიანებს, ვიცნობ რუსთავის მერობის კანდიდატის მამას — ნუგზარს, მის ბაბუას — როგორც ჟურნალისტს, მათთან სამსახურებრივი მოვალეობა მაკავშირებდა. ისინი ნამდვილი რუსთაველები არიან, ბევრი რამ კარგი გაუკეთებიათ რუსთავისა და რუსთაველებისათვის.

ამ გვარის წარმომადგენელ ირაკლის პირადად არ ვიცნობდი, მასზე მხოლოდ კარგი მსმენოდა.

წინასაარჩევნო შეხვედრაზე კი ჩემზეც და სხვა ამომრჩეველზეც ძალიან კარგი შთაბეჭდილება დატოვა. როგორც ამომრჩეველი, ვენდობი მას და ჩემი მხრიდან კიდევაც ვანდობ რუსთავის მერობას. დიახ, ირაკლი ტაბაღუას უნდა ვენდოთ, ის ამომრჩევლის ნდობას გაამართლებს, მჯერა, რუსთავს განათლებული, გულისხმიერი, მზრუნველი ეყოლება.“

ყველა ყველა და ნაციონალთაგან ერთმა, ჩემმა ახლობელმაც აღიარა, უდავოდ კარგი არჩევანიაო...

მე უფრო ახალგაზრდა ამომრჩევლის ზურაბ ლომიძის აზრი მეგულისყურება, ყველაზე დიდი სატკივარი რუსთავისთვის დღეს ახალგაზრდობაა, მისი მომავალი, ქალაქის ხვალე... დიახ, რუსთავს სტკივა მომავალი თაობის უმუშევრობა, იმათი უსაქმურობა, უპერსპექტივობა, არადა, ქალაქის სკოლებს ყოველწლიურად 4 ათასი მოსწავლე ამთავრებს, უმაღლეს სასწავლებელს კი ათასამდე სტუდენტი, ქალაქში კი სამუშაოს სანთლითაც რომ ეძებო, ერთსაც ვერ მოიძევ. ამის შესახებ მრავალგზის განმიცხადებია, და განა მარტო მე?

მერობის კანდიდატს ირაკლი ტაბაღუასაც შევახსენე ეს პრობლემა, რომელიც უკვე წლებია, რაც ქალაქს უმძიმეს ტვირთად აწევს, ლამის მოუშუშებელ იარად იქცა-მეთქი.

დიახ, ახალი მერი თავისას იზამს, დანარჩენს, როგორც იტყვიან, მომავალი გვიჩვენებს, მანამ კი წინ დიდი არჩევნებია, ახლა რუსთაველებით ხელთაა ქალაქის მომავალი, იმედია, დიდი ტრადიციების მქონე ქალაქს ამჯერადაც ეყოფა გონიერება.

ᲒᲘᲕᲘ ᲯᲐᲮᲣᲐ,
საქართველოს დამსახურებული ჟურნალისტი, რუსთავის საპატიო მოქალაქე.

„ᲕᲐᲙᲐᲜᲡᲘᲐ ᲛᲙᲕᲚᲔᲚᲘᲡ ᲗᲐᲜᲐᲛᲓᲔᲑᲝᲑᲐᲖᲔ“ — ᲡᲐᲖᲝᲒᲐᲓᲝᲔᲑᲠᲘᲕᲘ ᲛᲐᲣᲬᲧᲔᲑᲔᲚᲘ ᲜᲐᲮᲔᲕᲐᲠ ᲛᲘᲚᲘᲝᲜᲐᲓ ᲓᲔᲢᲔᲥᲢᲘᲣᲠ ᲡᲔᲠᲘᲐᲚᲡ ᲒᲐᲓᲐᲘᲚᲔᲑᲡ

„ᲡᲐᲖᲝᲒᲐᲓᲝᲔᲑᲠᲘᲕᲛᲐ ᲛᲐᲣᲬᲧᲔᲑᲔᲚᲛᲐ“ დეტექტიური ჟანრის სერიალის გადაღებაზე სახელმწიფო შესყიდვა გამოაცხადა. სერიალის შესყიდვის სავარაუდო ღირებულება 531 848 ლარია. აქედან, სავარაუდოდ, 200 ათას ლარს „საზოგადოებრივი მაუწყებელი“ წელს გადაიხდის, 331 848 ლარს — მომავალ წელს.

„ვაკანსია მკვლელის თანამდებობაზე“ ამ სახელწოდების დეტექტიური სერიალის სცენარი უკვე მზადაა. სერიალი სულ 12 ეპიზოდისგან შედგება.

რამდენი დაიხარჯა დეტექტიური სერიალის სცენარის მომზადებისთვის? — „საზოგადოებრივი მაუწყებლის“ სატენდერო კომისიის აპარატში გვითხრეს, რომ სცენარებზე ტენდერი არ გამოცხადებულა და იგი თავად მაუწყებელში მომზადდა.

ნიკოლოზ ირბახი

დასავლეთ ევროპის სამყაროსთან საქართველოს უძველესი დროიდან მომდინარე ურთიერთობა აკავშირებს, რასაც საქვეყნოდ ცნობილი არაერთი მითი თუ თქმულება, ისევე როგორც ადრეანტიკური ხანის უნიკალური ფაქტობრივი მონაცემები ადასტურებს. შუასაუკუნოვანი ისტორიის ცალკეული მოვლენები და სათანადო საბუთები ქართულ სამეფოთა და მათ მკვიდრთა მიმართ დასავლეთ ევროპის ქვეყნების არამხოლოდ ცხოველ ინტერესზე მიგვანიშნებენ, არამედ ორივე მხარის ცნობილ მოღვაწეთა შორის არსებულ მჭიდრო კავშირ-ურთიერთობაზეც, რომელიც განსაკუთრებით XVII-XVIII საუკუნეებიდან განვითარდა და ზედმიწევნით ნაყოფიერი აღმოჩნდა. უნებურად იბადება კითხვა: ამ პერიოდის ქართველ მოღვაწეთა შორის ვინ შეიძლება მივიჩნიოთ პირველ ქართველ დასავლეთევროპელებად (თუ დასაშვებია მათი ასეთი სახელდებით მოხსენიება)? ამ კითხვაზე პასუხის გასაცემად, ცხადია, ჩვენი კომპეტენციის გათვალისწინებით, თავდაპირველად სამ ისტორიულ პიროვნებას დავასახელებთ: ნიკიფორე ირბახი (ნიკოლოზ ირუბაქიძე – ჩოლაყაშვილი, დაახლ. 1585-1658), მისი თანამედროვე თინათინ ციბა-(ციბაშვილი ან სიბაშვილი) დელა ვალე (დაახლ. 1612-1673) და ალექსანდრე არჩილის ძე ბაგრატიონი (1674-1711). რადგან ამ სამი ისტორიული პიროვნების ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესახებ ჩვენს მიერ გამოვლენილი დოკუმენტური მასალა გამოქვეყნებულია, ამიტომ მათ შესახებ ამჯერად შეძლებისამებრ მოკლე თხრობით შემოვიფარგლებით. მათთან ერთად მკითხველის ყურადღებას ცალკეულ ისტორიულ მოღვაწეებზეც გავამახვილებთ, რომლებსაც თანადროულ ქართველ დასავლეთევროპელებად განვიხილავთ როგორც მათი წარმომავლობის, ისე საქართველოს მიმართ კეთილგანწყობის, დამსახურებისა და პროდასავლური ორიენტაციის გათვალისწინებით.

ქეთევან დედოფალი

XVII-XVIII სს. ცნობილი ქართველი დასავლეთევროპელები

გერმანელი კავკასიისმცოდნე ე. ვეიდენბაუმი ჩოლაყაშვილების საგვარეულოს აღმოცენებას XV საუკუნის საქართველოში იტალიელი გრაფის ჩოლაკას ჩამოსვლას უკავშირებს, რომელიც კახეთში დაფუძნდა, ხოლო მის შთამომავლებს ჩოლაყაშვილები ეწოდათ. ომან ჩოლაყაშვილი და მისი შვილები ქაიხოსრო და ნიკოლოზი მათი საგვარეულოს ირუბაქიძეებად წოდებულ განშტოებას განეკუთვნებოდნენ. ქაიხოსრო შ. რუსთაველის ეპიგონი პოეტი და ცნობილი პოემის „ომანიანის“ ავტორი გახლდათ, ხოლო ნიკოლოზი, მის შესახებ არსებული ცნობების მიხედვით, 8 წლის ასაკში სწავლა-განათლების მისაღებად იტალიაში გააგზავნეს, სადაც ბერძნულ სკოლაში სწავლობდა და სამშობლოში 1608 წელს დაბრუნდა. ბერად აღკვეცის შემდეგ მას

ვინ იყვნენ პირველი ქართველი დასავლეთევროპელები?

ჯუანშერ ვათაძე

ნიკიფორე ეწოდა და თეიმურაზ I-ის კარის მოძღვარი გახდა. თავისი გვარის განშტოების (ირუბაქიძის) მიხედვით მან მეტსახელად ირბახი აირჩია, რომლითაც ქართულ ისტორიოგრაფიაში მოიხსენიება. შაჰ აბას I-ის მმართველობისას სპარსეთის მიერ განხორციელებული ქართველი ხალხის გენოციდის (1614-1617წწ.) პირველსავე წელს ნიკიფორე ირბახი იერუსალიმში გაემგზავრა, სადაც ქართულ სასულიერო დაწესებულებებს, განსაკუთრებით ჯვრის მონასტერს, მეურვეობდა.

ნიკიფორე ირბახის მოღვაწეობის შემდეგი ეტაპი საქართველოში მის ყოფნას უკავშირდება ისევ სამეფო კარის მოძღვრის რანგში. ეს ის პერიოდია, როდესაც სპარსეთში დაპატიმრებული ლუარსაბ II საპყრობილეში მოაშთეს, ხოლო შირაზში იზოლირებულმა ქეთევან დედოფალმა ვერც კი შეიტყო მისი დასაჭურისებული შვილიშვილების უბედურების ამბავი. აბას I-ის კარზე მყოფი ქართველი მოღვაწეები, მათ შორის გიორგი სააკაძე და გარდაცვლილი ალავერდი-ხან უნდილაძის შვილები იმამ-ყული-ხანი და დაუდ-ხანი, გაოგნებულები იყვნენ შაჰის შურისმაძიებლური სიმკაცრით. ამის შედეგი იყო მითითებულ ქართველ მოღვაწეთა მხრივ თეიმურაზ I-თან საიდუმლო კავშირის დამყარება, რაც შემდეგ შაჰის საწინააღმდეგო შეთქმულებაში გადაიზარდა. მათი მოთმინების ფიალის შემავსებელ ბოლო წვეთად აღქმულ იქნა შირაზში ქეთევან დედოფლის არაადამიანური წამება (1624წ.), რომელსაც საერთაშორისო რეზონანსი ჰქონდა. არასრული ერთი წლის შემდეგ გაიმართა მარტყოფის ბრძოლა (1625წ.) გიორგი სააკაძის მოთავეობით, რომელმაც ჩაშალა აბას I-ის ვერაგულად გააზრებული გეგმა სახანოებად დანაწევრებული საქართველოს სპარსეთთან მიერთების შესახებ. მარტყოფის ბრძოლითვე იყო შთაგონებული დასავლეთ ევროპაში, კერძოდ, ესპანეთსა და იტალიაში ქართული ელჩობის წარგზავნა იმ მიზნით, რომ დასავლეთის ერთმორწმუნე ქვეყნებს დროული და ქმედითი დახმარება აღმოეჩინათ ქართლ-კახეთის სამეფოსათვის სპარსელთა მომავალი თავდასხმების აღსაკვეთად.

მითითებული ქართული ელჩობის (1625-1629წწ.) ხელმძღვანელად დაინიშნა ნიკიფორე ირბახი, რომელმაც ღირსეულად გაართვა თავი ამ მეტად მნიშვნელოვან მოვალეობას. იგი ჯერ ესპანეთს ეწვია, სადაც ფილიპე IV-ის თეიმურაზ I-ის ბევრისმეტყველი წერილი გადასცა და მონაწილეობა მიიღო როგორც სახელმწიფო საბჭოს სხდომებში, ისე გასაიდუმლოებულ მოლაპარაკებებში. ესპანეთის მეფესთან დაახლოებულ პირებს მან გაანდო საიდუმლო პროექტი, რომელიც ქართლ-კახეთის სამეფოსათვის დახმარების აღმოჩენის შესაძლებლობას ძირითადად სპარსეთის ყურეში მდებარე კუნძულ ორმუზიდან ითვალისწინებდა. ეს კუნძული პორტუგალიის კოლონიას წარმოადგენდა, თუმცა ადრე სპარსეთის შემადგენელი ნაწილი იყო. მის დასაბრუნებლად აბას I ძალისხმევას არ იშურებდა, რაც უარყოფითად მოქმედებდა შაჰის იმავდროულ მისწრაფებაზე, საქართველო თავისი იმპერიისათვის მიეერთებინა. ორმუზის რეგიონში წარმატებულად მოქმედ სპარსულ ჯარს მეთაურობდა ზეიმოთ აღნიშნული შეთქმულების მონაწილე იმამ-ყული-ხანი, რომელსაც შეეძლო პორტუგალიის (იგი მაშინ ესპანეთთან უნიით იყო გაერთიანებული) გარნიზონთან და ესპანეთის ფლოტილიასთან თავისი ჯარის დაპირისპირება გაეჭიანურებინა და წარუმატებელი გაეხადა იმ პირობით, რომ ეს ორი ევროპული ქვეყანა ქართლ-კახეთის სამეფოს სპარსეთის წინააღმდეგ ბრძოლაში ქმედით დახმარებას აღმოუჩენდა. მადრიდში განხილული ეს პროექტი ესპანეთის მთავრობამ მოიწონა და ქართლ-კახეთის სამეფოს დახმარება აღუთქვა, რასაც ადასტურებდა მისი გადაწყვეტილება თბილისში საპასუხო ელჩობის წარგზავნის შესახებ. ამასთან ერთად ესპანეთის მთავრობამ ქართველი ელჩისაგან მოითხოვა პროექტის შეთანხმება და დასტურის მიღება რომის პაპის ურბან VIII-სგან. ამ გარემოებამ განაპირობა ნიკიფორე ირბახის მადრიდში თითქმის წელიწად-ნახევრის მანძილზე ყოფნის შემდეგ იტალიაში გამგზავრება, სადაც მან ნახევარ წელზე მეტი დრო დაჰყო. ცხადია, რომ ქართული ელჩობის საქმიანობის დროში გაწელვამ უარყოფითად იმოქმედა მის პოლიტიკურ შედეგიანობაზე, თუმცა მისი შედარებით მოკლე ხნით მოღვაწეობა იტალიაში (ძირითადად რომსა და ვატიკანში) ზედმიწევნით ნაყოფიერი აღმოჩნდა ქართული კულტურის სარბიელზე მიღწეული შედეგების მიხედვით.

ნიკიფორე ირბახის საქმიანობა იტალიაში უშუალოდ დაუკავშირდა რომში მცხოვრებ ცნობილ მოგზაურს, პატრიციელთა შთამომავალსა და უგანათლებულეს პიროვნებას **პიეტრო დელა ვალეს** და მის შესანიშნავ ქართველ მეუღლეს **თინათინ ციბა-დელა ვალეს**. იმის ასახსნელად, თუ სად და რა ვითარებაში გადაიკვეთა ქართველი ქალბატონის თინათინის და რომაელი დიდგვაროვანი პიეტროს ურთიერთდამაკავშირებელი გზები, უნდა მოკლედ გადმოვცეთ ამ უკანასკნელის ბიოგრაფიის ძირითადი მონაცემები. პიეტრო დელა ვალე რომში დაიბადა და იქვე მიიღო განათლება, რომელიც მნიშვნელოვანწილად შეავსო გათვითცნობიერებით საისტორიო და მხატვრულ ლიტერატურაში, განსაკუთრებული ინტერესის გამჟღავნებით აღმოსავლეთის ქვეყნებისადმი. პიეტროს ბიოგრაფიის ერთ-ერთი მონაცემი იმაზე მეტყველებს, რომ ყმაწვილკაცობისას განცდილი მისი სიყვარული რომაელი ქალიშვილისადმი გაუზიარებელი აღმოჩნდა. ცხოვრებისეულმა ამ წარუმატებლობამ პიეტრო შთააგონა, წამოეწყო მოგზაურობა აღმოსავლეთის ქვეყნებში, რომელიც 1614 წლიდან 1626 წლის მეორე ნახევრამდე გაგრძელდა. მან მოინახულა და გარკვეული დრო დაჰყო პალესტინაში (იერუსალიმის საფუძვლიანი გაცნობით), ეგვიპტეში, თურქეთში, სირიაში, ბოლოს კი სპარსეთში, სადაც 20-იანი წლების დამდეგს ჩავიდა და ყველაზე ხანგრძლივად შეჩერდა. სირიაში ყოფნისას მან იქაურ ქრისტიან სიტი მაანიზე (სიტი ქალბატონს ნიშნავს) იქორწინა და ისპაჰანში მასთან ერთად ჩავიდა (სამშობლოში დაბრუნებამდე მას შედარებით მცირე ხნით ინდოეთშიც მოუხდა ყოფნა).

პიეტრო დელა ვალე

სპარსეთში ყოფნისას პიეტრო გათვითცნობიერდა შაჰ აბასის მიერ 1614-1617 წლებში საქართველოში განხორციელებული ოთხი შემოსევის ნიუანსებში, შეიცხადა ქართველი ხალხისათვის მიყენებული მათი ბარბაროსული შედეგები და ქართველთა მიმართ დიდი სიყვარულითა და პატივისცემით განიმსჭვალა. ერთერთ წერილში თავისი მეგობრის მარიო სკიპანოსადმი, რომელსაც ყოველი აღმოსავლური ქვეყნის გაცნობის შესახებ დაწვრილებით ინფორმაციას აწვდიდა, პიერო გულწრფელად აღნიშნავდა: **„საქართველო ყოველთვის ჩემს გულშია“**. ქართველების მიმართ კეთილი გრძნობებით გამსჭვალული პიეტრო მათი ქვეყნის შესახებ ყოველგვარ ისტორიულ და რელიგიურ ცნობებს აგროვებდა, ამასთან ერთად იგი ორჯერ იმყოფებოდა შირაზში, სადაც საგანგებო ვიზიტით ეწვია ქეთევან დედოფალს, კეთილგანწყობილი ურთიერთობა დაამყარა მასთან და მის აღმსარებელ გიორგი მღვდელთან, რომელიც მოგვიანებით შაჰის ბრძანე-

ქეთევან დედოფლის ლოცვა. ლისაბონის და გრასას ტაძარში დაცული ფრესკა

ბით სიცოცხლეს გამოასალმეს.

ქეთევან დედოფლის მინიშნებით და ისპაჰანში მყოფი კათოლიკე მისიონერების თაოსნობით პიეტროს და სიტი მაანის გულთბილი ურთიერთობა დაუმყარდათ აგრეთვე ისპაჰანში გადასახლებული ალავერდელი მიტროპოლიტის დებთან, ვისთანაც მაშინ მცირეწლოვანი ქართველი გოგონა თინათინი ცხოვრობდა. როგორც პიეტროს აუხსნეს თინათინი იყო ქალიშვილი თეიმურაზ I-ის ლაშქრის ერთ-ერთი მხედართმთავრისა, რომელიც მედგარ წინააღმდეგობას უწევდა სპარსელებს შაჰ აბასის ჯარის კახეთში პირველი შემოსევისას და რომელიც მტერთან ხელჩართული ბრძოლისას დაიღუპა, ხოლო მისი მეუღლე მზისთანდარი და მცირეწლოვანი ქალიშვილი თინათინი, სხვა დატყვევებულ ქართველებთან ერთად სპარსეთში გადაასახლეს. მზისთანდარის ისპაჰანში გარდაცვალების შემდეგ თინათინი ალავერდელ მიტროპოლიტთან და მის დებთან ერთად ცხოვრობდა. მიტროპოლიტის ისპაჰანიდან საქართველოში გაქცევის შემდეგ, სპარსელთაგან მოსალოდნელი ანგარიშსწორების შიშმა აიძულა ქეთევან დედოფალი, რომელიც ახლოს იცნობდა თინათინის მშობლებს, ობოლი გოგონა შირაზში გადაეყვანა და თავის მოახლედ გაემწესებინა. ამ ფაქტმა განსახიერება პოვა თეიმურაზ I-ის დედის წამებისადმი მიძღვნილ პოემაში, რასაც აღნიშნავს კორნელი კეკელიძე თავის „ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიაში“: **„დანიშნულ დროს მოვიდნენ მტარვალნი და მოიტანეს თან ტანჯვა-წამების იარაღები... ქეთევანის მოახლენი შეშინდნენ და დედოფალს სთხოვეს - თავს ნუ გასწირავო. ერთმა მათგანმა, თინათინმა საშინელი კივილი მორთო, რისთვისაც ჯალათებმა ის კარში გააგდეს შიშველ-ტიტველი... ტანჯვის ადგილზე დაუძახეს დედოფლის მოძღვარს, იმერელ გიორგის. საშინელი სურათის დანახვაზე ისიც შედრკა, მაგრამ დედოფალმა გამხნევება დაუწყო მას“. ამ ამონარიდისათვის დართულ სქოლიოში კ. კეკელიძე აღნიშნავდა: „ეს თინათინი უნდა იყოს ქართველი ტყვე ქალი, ქეთევანთან ძალზე დაახლოებული, ვინმე თინათინ წიბა, რომელიც სპარსეთში ცოლად შეურთავს ცნობილ პიეტრო დელა ვალეს“** (იხ. დასახ. ნაშრ., ტომი II, გვ. 494). ციტირებულ ამონარიდში მეტად საინტერესო ფაქტია დამოწმებული, რომელიც მცირეოდენ დაზუსტებას საჭიროებს. ქეთევან დედოფლის წამების შემდეგ ალავერდელი მიტროპოლიტის დებმა თინათინი საცხოვრებლად ისევ თავისთან გადაიყვანეს, თუმცა იმის საშიშროება, რომ საქართველოში გაქცეული მიტროპოლიტის გამო მის დებს პასუხი მოეთხოვებოდათ, არ იყო განელეული. ამიტომ მათ თხოვნით მიმართეს პიეტროსა და მის მეუღლეს მაანის თინათინი თავისთან წაეყვანათ და, თუ შესაძლებელი იყო, თავის შვილად ეღიარებინათ სპარსელთაგან მისი გადარჩენის მიზნით (თინათინის მამა შაჰის საძულველ პიროვნებად ითვლებოდა იმ დიდი დანაკარგის გამო, მან თავის დაღუპვამდე სპარსეთის ლაშქარს რომ მიაყენა). პიეტრომ და მაანიმ იშვილეს თინათინი, რომელიც მათთან იზრდებოდა მარიუჩას სახელით და რომელმაც მოკლე დროის განმავლობაში საფუძვლიანად აითვისა იტალიური ენა.

მომდევნო მოვლენები ისე განვითარდა, რომ პიეტრო იძულებული გახდა, ანგარიში გაეწია ახლო ნათესავების სურვილისათვის და რომში დაბრუნებულიყო, რათა, ვითარცა დელა ვალეს საგვარეულოს მთავარ კანონიერ მემკვიდრეს, თავისი ფუნქცია-მოვალეობები აღესრულებინა. რომში გამგზავრება 1626 წლის გაზაფხულზე დაიგეგმა, როდესაც პიეტრო, მაანი და თინათინი-მარიუჩა ისპაჰანიდან სპარსეთის ყურისკენ გაემართნენ, საიდანაც გემით რომში უნდა გამგზავრებულიყვნენ. მაგრამ სრულიად გაუთვალისწინებელი რამ მოხდა: გზაში სიტი მაანი ავად გახდა, მას ციებ-ცხელება შეეყარა და რამდენიმე დღეში გარდაიცვალა. გარდაცვალებამდე მაანიმ, რომელიც ორსულად იყო და, ამასთან ერთად, ძალიან უყვარდა მის მიერ გაზრდილი თინათინი, პიეტროს ანდერძის მსგავსად თავისი მოსაზრება გაანდო: რადგან პიეტრო ახალგაზრდა კაცია და ვალდებულია შექმნას ოჯახი, მაანის სურვილია, რომ მან მარიუჩა-თინათინზე იქორწინოს. პიეტრო დელა ვალეს ბიოგრაფების აზრით, ამ ანდერძმა მოგზაურს წინასწარგანწყობა ჩამოუყალიბა თინათინის მიმართ, რომელიც ჭეშმარიტად ძლიერ შეუყვარდა.

რომში ჩასვლისთანავე ყველაზე მნიშვნელოვანი, რაც პიეტრომ მოიმოქმედა, ის გახლდათ, რომ მან ვატიკანის პონტიფიკოსს ურბან VIII წარუდგინა მის მიერ შედგენილი **„ცნობა საქართველოს შესახებ“ („Informatione della Georgia“)**. ეს იყო ვრცელი შინაარსის შემცველი საერთაშორისო მნიშვნელობის საბუთი, რომელშიც დაწვრილებით იყო აღწერილი და სათანადოდ შეფასებული სპარსეთის მიერ განხორციელებული გენოციდი ქართველი ხალხის მიმართ. ეს საბუთი ერთგვარ სამხილსაც წარმოადგენდა დასავლეთის ქრისტიანული სამყაროსადმი, რომელმაც სპარსელთა მიერ ჩადენილი ბოროტმოქმედება არამხოლოდ დაუსჯელი, არამედ, ფაქტობრივად, გამოხმაურების გარეშე დატოვა.

რომში ჩასვლიდან ერთი წლის შემდეგ, როდესაც თინათინ-მარიუჩას არაერთი დიდგვაროვანი ოჯახის წარმომადგენელი ხელის მთხოვნელად მოევლინა, მან უკვე იცოდა პიეტროს მისადმი „არაგულგრილი“ დამოკიდებულების შესახებ, ამიტომ ხელისმთხოვნელთა შორის უპირატესობა მან თავის საყვარელ აღმზრდელს მიანიჭა. მათი დაქორწინებიდან ერთი წლის შემდეგ პიეტროს და მარიუჩას პირმშო ქალიშვილი შეეძინათ, რომელსაც მისმა მამამ საქართველოსადმი თავისი სიყვარულის ნიშნად რომიბერა დაარქვა. დროთა განმავლობაში საერთო რაოდენობამ მათი შვილებისა თოთხმეტი შეადგინა — ამდენად ხელი შეუწყო ქართველმა ქალბატონმა რომის პატრიციული საგვარეულოს საფუძვლიან გამრავლებას. იტალიური წესისამებრ ახალდაბადებულებს რამდენიმე სახელს არქმევდნენ, ამიტომ პიეტროს მეუღლემ თავის შვილებს ქართული სახელებიც შეარქვა: დედისა და ბიძის პატივსაცემად მზისთანდარი, ალექსანდრე-გიორგი, ასევე მარინე და სხვ.)

(გაგრძელება შემდეგ ნომერში)

ვემზადებით თელავის მუსიკის საერთაშორისო ფესტივალისთვის

კულტურის სამინისტროში მუსიკის საერთაშორისო ფესტივალის შესახებ პრესკონფერენცია გაიმართა, რომელიც 7-15 ოქტომბერს, საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს მხარდაჭერით, თელავში ჩატარდება.

პრესკონფერენციას საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრი მიხეილ გიორგაძე და ფესტივალის პროგრამების მენეჯერი მაია კოკოჩაშვილი უძღვებოდნენ. ღონისძიებას ასევე ესწრებოდა თბილისის კონსერვატორიის პროფესორი, პიანისტი რევაზ თავაძე.

საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს მხარდაჭერითა და კლასიკური მუსიკის ცენტრის ორგანიზებით, მუსიკის საერთაშორისო ფესტივალი თელავში საზეიმოდ 7 ოქტომბერს გაიხსნება და 15 ოქტომბრამდე გასტანს. ფესტივალის განრიგში 6 კონცერტია, რომელთაგან 5 თელავის სახელმწიფო დრამატულ თეატრში გაიმართება, ხოლო ერთ კონცერტს წინანდალში ალექსანდრე ჭავჭავაძის სახლ-მუზეუმი უმასპინძლებს.

წელს ცნობილი ქართველი მუსიკოსის, ფესტივალის დამფუძნებლისა და სამხატვრო ხელმძღვანელის, ელისო ვირსალაძის საკონცერტო მოღვაწეობის 55 წლისთავია. ამ თარიღის აღსანიშნავად, თელავის ფესტივალი წარმოგიდგენთ სხვადასხვა თაობის ბრწყინვალე პიანისტებს: **ლუკაშვონ დრაჩეკი** — ბრიუსელის დედოფალი ელისაბედის 2016 წლის კონკურსის გრან-პრის მფლობელი; **დანიელ ჩობანუ** — 2017 წლის არტურ რუბინშტეინის პიანისტთა კონკურსის II პრემიის ლაურეატი და მაყურებლის სიმპატიის პრიზის მფლობელი; **მამიკონ ნახაპეტოვი** — მარია იუდინას (2003) სახელობის, ედვარდ გრიგის (2012) და სხვა არაერთი საერთაშორისო კონკურსის ლაურეატი; **ბორის ბერეზოვსკი** — ქართველი მსმენელისთვის კარგად ნაცნობი, მსოფლიოში სახელგანთქმული მუსიკოსი. ფესტივალზე მსმენელის წინაშე ასევე წარდგებიან გამოჩენილი შემსრულებლები: **გიორგი ქობულაშვილი** (ჰობოი), **დმიტრი პროკოფიევი** (ჩელო) და ჯაიუნ ლი (ვიოლინო), **დავიდ ოისტრახის სახელობის სიმებიანი კვარტეტი, საქართველოს სინფონიეტა და საერთაშორისო სატელევიზიო ორკესტრი არიელ ცუკერმანის დირიჟორობით.**

ფესტივალის ფარგლებში აღინიშნება თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის 100 წლის იუბილე.

კონცერტების პარალელურად, თეატრის ფოიეში მოეწყობა ელისო ვირსალაძის საკონცერტო მოღვაწეობის ამსახველი საკონცერტო აფიშების გამოფენა, რომელთა შორის წარმოდგენილია ანასტასია ვირსალაძის კლასის კონცერტის აფიშები, დათარიღებული 1940-1950 წლებით.

აღსანიშნავია, რომ წელს ფესტივალი საკმაოდ დატვირთულია მასტერკლასებითაც. ღია გაკვეთილებს ჩაატარებენ ელისო ვირსალაძე, ხათუნა კოკოჩაშვილი, გიორგი ქობულაშვილი და დანიილ ავსტრიხი. მასტერკლასები გაიმართება თელავის ნიკო სულხანიშვილის სახელობის სამუსიკო სასწავლებელში და მათზე დასწრება თავისუფალია.

ქართველი პიანისტის ელისო ვირსალაძის მიერ, 80-იან წლებში დაარსებული ფესტივალი, 2010 წელს განახლდა და მას შემდეგ, ყოველწლიურად, საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს მხარდაჭერით იმართება. ტრადიციულად, ფესტივალი თელავში სხვადასხვა თაობის მსოფლიო რანგის მუსიკოსს მასპინძლობს.

სტეფანწმინდა მსოფლიოში ყველაზე ლამაზი პატარა ქალაქების ჩამონათვალში მოხვდა

პოპულარული ამერიკული სამოგზაურო პორტალი Thrillist მკითხველს მოგზაურობას მსოფლიოს 20 პატარა ქალაქში ურჩევს. იტალიურ, ესპანურ, ბრაზილიურ, გერმანულ, ავსტრიულ, იაპონურ ქალაქებს შორის ყაზბეგის მუნიციპალიტეტის დაბა სტეფანწმინდა მოხვდა.

Thrillist-ის ჟურნალისტმა და პუბლიცისტმა ბრიუს ნორსამმა საქართველოში ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის მოწვევით იმოგზაურა.

„არქიტექტურა და ბუნებრივი სილამაზე სტეფანწმინდაში ერთმანეთთან შერწყმულია. ამ სოფელში ყველას ყურადღებას იპყრობს გორაკი, რომელზეც 14 საუკუნეში აშენებული გერგეთის წმინდა სამება მდებარეობს, მის უკან კი თოვლით დაფარული მყინვარწვერია. უმშვენიერესი ბუნების შესასწავლად სტეფანწმინდა საუკეთესო ადგილია, აქ შეგიძლიათ დაბანაკდეთ და ეწვიოთ ეროვნულ პარკს, ცხელ წყაროებს, მჟავე წყლებს, ჩანჩქერებს, ტბებს. აქედან სულ რამდენიმე კილომეტრში მდებარეობს რუსეთი, თუმცა საქართველოში უფრო მეტად ურჩევნიათ თეთრი და წითელი ღვინო შეადარონ ერთმანეთს ვიდრე ჩრდილოელ მეზობელზე ისაუბრონ. ეს არის ქრისტიანული, სტუმართმოყვარე ღვინის ქვეყანა, რომლის მოსახლეობაც მხოლოდ 3,7 მილიონია, მაგრამ ვაზის 500-ზე მეტი ჯიშით არის ცნობილი“, — წერს ბრიუს ნორსამი.

ზურაბ წერეთელი, სტივენ სიგალი, ემირ კუსტურიცა – „შავ სიაში“!..

სააკაშვილის ფავორიტ მოქანდაკე ზურაბ წერეთელს უკრაინელებიც შემოსწყრნენ და ე.წ. „შავ სიაში“ შეიყვანეს. წერეთლის მსგავსად, უკრაინის კულტურის სამინისტრომ განახლებულ „შავ სიაში“ განამწესა ქართული წარმომავლობის ბალერონი ნიკოლოზ ცისკარიძეც. საქმე ისაა, რომ ეს ადამიანები, რუსეთში მოღვაწე კულტურის სხვა წარმომადგენლებთან ერთად, ანექსირებულ ყირიმში პუტინის პოლიტიკას უჭერდნენ მხარს.

აღსანიშნავია, რომ უკრაინელებმა ე.წ. „შავი სია“ ჯერ კიდევ 2015 წელს შეადგინეს და მასში 14 ადამიანი შეიყვანეს. ბოლო ორი წლის განმავლობაში სია დახვეწეს და განავრცეს. ამჯერად „შავ სიაში“ 100 ადამიანია მოხვედრილი, მათ შორის, ფრანგი მსახიობი ჟერარ დეპარდიე, მომღერალი გრიგორი ლეპსი, მუსიკოსი ალექსანდრე როზენბაუმი და სხვა. უკრაინის უშიშროების სამსახურის განმარტებით, ეს ადამიანები ეროვნული უსაფრთხოებისთვის საფრთხეს წარმოადგენენ. ამდენად, ზურაბ წერეთლის გვერდით „შავ სიაში“ „საპატიო ადგილი“ უჭირავს ამერიკელ მსახიობს სტივენ სიგალს და სერბ კინორეჟისორსა და მუსიკოსს ემირ კუსტურიცას. სიგალს უკრაინაში შესვლა უკვე აეკრძალა, ხოლო უკრაინულ ტელეკომპანიებსა და რადიოსადგურებს ეკრძალებათ იმ ფილმების, სერიალების, კონცერტების გაშვება, რომლებშიც „შავ სიაში“ მოხვედრილი ადამიანები მონაწილეობენ.

ცხინვალის რეგიონისა და აფხაზეთის ოკუპაციის შემდეგ, წესით, არავინ მოელოდა, თუ ქართული წარმოშობის ადამიანები პუტინის პოლიტიკას ყირიმში გაამართლებდნენ. მაინც რამ აიძულა ეს ორი ქართველი 2014 წლის 11 მარტს ყირიმის გამო პუტინისთვის მხარდაჭერა გამოეხატათ, რუსეთში მოღვაწე ხელოვნების ათეულობით მუშაკთან ერთად?

შესაძლოა, ზურაბ წერეთელმა არ დაუკარგა პუტინს დამსახურება, რომ სწორედ პირადად ვლადიმერ პუტინის ბრძანებით, იგი 2012 წელს სამხატვრო აკადემიის პრეზიდენტის თანამდებობაზე დააბრუნეს. ეს მას შემდეგ მოხდა, რაც იური ლუჟკოვის მიერ თანამდებობის დატოვების შემდეგ, ახალი მერის გადაწყვეტილებით, რუსეთში მოღვაწე ქართველი სკულპტორი „ჩამოალაბორანტეს“ და სამხატვრო აკადემიის პრეზიდენტის თანამდებობიდან გაათავისუფლეს.

იმ პერიოდში რუსეთში ფიქრობდნენ, რომ ზურაბ წერეთლის ახალ ნამუშევრებზე მუშაობა შეჩერდებოდა, ხოლო მის მიერ შესრულებულ პეტრე პირველის ძეგლს ქალაქის ცენტრიდან მოაშორებდნენ. მართალია, მოლოდინი არ გამართლდა, მაგრამ სამსახურიდან დათხოვნილმა ზურაბ წერეთელმა მაშინ უამრავი სვლა გააკეთა. კერძოდ, თბილისში ჩამოფრინდა და სააკაშვილთან ერთად თანამედროვე ხელოვნების მუზეუმის სივრცე გახსნა. ყველას ეგონა, რომ ზურაბ წერეთელი ახლა მაინც არ შეელეოდა საქართველოს და სამშობლოში დარჩებოდა. მოლოდინს ამძაფრებდა სააკაშვილის „ისტორიული“ სიტყვებიც: **„დღევანდელი დღე ადასტურებს, რომ ყველა ქართველის საბოლოო ნავსაყუდელი, სადაც მათ დაიფასებენ, მათივე სამშობლო, საქართველოა“**. თუმცა პუტინი სხვაგვარად ფიქრობდა და პუტინისვე ბრძანებით, ზურაბ წერეთელი სამხატვრო აკადემიაში ძველ თანამდებობაზე დააბრუნეს. მადლიერი მოქანდაკეც პუტინის ინაუგურაციის საზეიმო ცერემონიალსაც დაესწრო.

„პუტინი და ნიკოლოზ ცისკარიძე“ — 2013 წლის 4 დეკემბერს გადაღებული ეს შთამბეჭდავი ფოტოც, სავარაუდოდ, იმ ბატალიების მშვიდობიანად დასრულებას მოასწავებს, რაც ქართველ ბალერონს შეუქმნეს დიდ თეატრში.

საქმე ისაა, რომ 2013 წელს რუსეთის სახალხო არტისტმა ნიკოლოზ ცისკარიძემ დიდი თეატრის ხელმძღვანელობა მის დისკრედიტაციაში დაადანაშაულა და აღნიშნა: „ვინც ხმის ამოღებას გაბედავს, მას მშვიდად ათავისუფლებენ“. ცისკარიძე აღშფოთებული იყო, რომ, როგორც სტალინურ 37 წელს, ისევე აწყობდნენ კრებებს მის წინააღმდეგ, მის კოლეგებს კი ხელს აწერინებდნენ მის წინააღმდეგ დაწერილ წერილებზე. უფრო კონკრეტულად, ნიკოლოზ ცისკარიძეს აბრალებდნენ საბალეტო ჯგუფის მხატვრულ ხელმძღვანელ ფილინზე თავდასხმას, როცა ფილინს სახეში მჟავა შეასხეს. დიდი ალბათობით, ეს სკანდალიც პუტინმა განმუხტა და 2014 წელს ნიკოლოზ ცისკარიძე რუსული ბალეტის აკადემიის რექტორად დაინიშნა.

შესაბამისად, ყირიმიც პირად ინტერესებს შეეწირა...

რესპუბლიკური პარტიის ერთ-ერთი ლიდერი **ლევან ბერძენიშვილი** For.ge-სთან საუბარში აცხადებს, რომ ვინც უკრაინის ტერიტორიულ მთლიანობას არ აღიარებს, მათ სერიოზული პრობლემები უნდა შეექმნათ არა მარტო უკრაინაში, არამედ მთელ მსოფლიოში, რადგან მსოფლიოში არ არსებობს არც ერთი სახელმწიფო, რომელიც გაამართლებს პუტინის მიერ ყირიმის ანექსიას. ამის გამო რუსეთს ევროკავშირისგან, აშშ-სგან, აზიის ქვეყნებისგანაც კი სერიოზული სანქციები აქვს დაწესებული. რაც შეეხება უკრაინას, ამ ქვეყანამ თვითონვე იცის, როგორ დაიცვას თავი მოწინააღმდეგეებისგან და ვინ შეიყვანოს „შავ სიაში“.

„ზურაბ წერეთელი და ნიკოლოზ ცისკარიძე მხოლოდ ეთნიკურად არიან ქართველები. მე იმას არ შევეხები, ზურაბ წერეთელი არის თუ არა საქართველოსთვის ქართველი. არ ვიცი, თვითონ რას ფიქრობს ამ საკითხზე, მაგრამ გინდაც ქართველი იყოს და გინდაც კონკრეტულად — ჩოხატაურელი, მნიშვნელობა არ აქვს, თუკი ვინმეს უხარია, რომ უკრაინას წაართვეს ყირიმის ტერიტორია. დიდი ხანია, ემირ კუსტურიცაც ყველა სიაშია ჩასასმელი, ის არც რეჟისორად არ ვარგა, ის არის კაცი, რომელმაც ცხინვალისა და აფხაზეთის რეგიონების ოკუპირების საკითხში რუსეთს მხარი დაუჭირა. კუსტურიცა როგორც იქცევა, ისე არ მოქცეულა თვით ნიკარაგუაც კი. ასე რომ, კუსტურიცას, დეპარდიეს გვერდით თუ აღმოჩნდება, ზურაბ წერეთელი, ალბათ, გაუხარდება კიდეც.

არა მგონია, ზურაბ წერეთლისთვის ეს პრობლემა იყოს, რადგან, როცა ადამიანი ამბობს — „კრიმ ნაშ“, უნდა იცოდეს კიდეც, რომ უკრაინას ეს ეწყინება და პერსონა ნონ გრატად გამოგაცხადებს. სხვათა შორის, რას დაკარგავს მსოფლიო, ამ ორი მოღვაწის „ძეგლები“ თუ არ დაიდგმება? ორივენი ჩვეულებრივი გაქნილი მაფიოზები არიან. მათგან განსხვავებით, რუსეთში არის ღირსეული ხალხი, რომელიც მხარს არ უჭერს ყირიმის ანექსიას. ისინი თანამდებობაზეც არიან, აკადემიკოსებად და დამსახურებულ არტისტებადაც გვევლინებიან. იმას, რის გამოც პუტინს მხარი დაუჭირა როზენბაუმმა, არ დაუჭირა მხარი ბორის გრებენშიკოვმა ან „მაშინა ვრემენის“ ხელმძღვანელმა ანდრეი მაკარევიჩმა. ისინი ვინმეზე ნაკლები არიან?! უბრალოდ, რუსეთშიც არიან წესიერი და უწესო ადამიანები“, — აცხადებს ლევან ბერძენიშვილი და მიიჩნევს, როცა საკუთარი ქვეყნის 20% ოკუპირებული აქვს რუსეთს, ეთნიკურად მართლა ქართველი რომ იყოს წერეთელი, ამის გამო მაინც არ დაუჭერდა მხარს ყირიმის ოკუპაციას.

პოლიტიკოსის თქმით, რამდენად ეფექტური იქნება უკრაინის „შავი სია“, არავინ იცის. თუმცა უკრაინას სრული უფლება აქვს, ამერიკის მაგნიტსკის სიის მსგავსი შეადგინოს. ამის ანალოგიით, ქართველებსაც აქვთ შედგენილი საკუთარი სიები, სადაც ყველა ადამიანია შეყვანილი, ვინც აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონში რუსეთიდან შევიდა.

უშუალოდ ზურაბ წერეთლის შესახებ ლევან ბერძენიშვილი ამბობს, რომ ის არ მიეკუთვნება ამ მოქანდაკის საქციელით მადლიერ ადამიანთა კატეგორიას. ეს ის ზურაბ წერეთელია, რომელმაც თბილისში ძეგლი „დაგვარჭო“ თავზე, იგი აბსოლუტურად უნიჭო შემოქმედია, რომელმაც მთელი ცხოვრება მიუძღვნა რუსეთის ინტერესების გატარებას.

„რუსეთის ტრაგედიაა, რომ ზურაბ წერეთელი დიდი კაცია ხელოვნების სფეროში. რუსეთში უამრავი გენიოსი მოღვაწეობდა და მოღვაწეობს და წერეთელზე უკეთესი დირექტორი ვერ იპოვეს დასანიშნად?!“

„მრავალარხიანი დიპლომატიის ინსტიტუტ-საქართველოს“ ხელმძღვანელი **ლევან გერაძე** For.ge-სთან საუბარში აცხადებს, რომ ზურაბ წერეთელი და ნიკოლოზ ცისკარიძე რუსეთის მოქალაქეები არიან და, როგორც რუსეთის მოქალაქეები, ატარებენ თავისი ოფიციალური, ფორმალური „სამშობლოს“ ინტერესებს. ამდენად, არ არის გასაკვირი, რომ რუსეთის ფედერაციასთან საომარ მოქმედებებში მყოფმა უკრაინამ ამგვარი გადაწყვეტილება მიიღო.

„დარწმუნებული ვარ, უკრაინალებს „შავი სიის“ შედგენის საფუძველი ჰქონდათ. ძალიან კარგიც უქნიათ, რომ ასე მოიქცნენ. ზურაბ წერეთელი იქნება, ნიკა ცისკარიძე თუ ნებისმიერი სხვა, სახელოვნებო სფეროში მათი ღვაწლის მიმართ ჩემი პატივისცემის მიუხედავად, ამორალურია, უკანონოა და მიუღებელია ის, რაც უკრაინასა და საქართველოში ხდება რუსეთის ფედერაციის მხრიდან. ასე რომ, ყველანაირი განცხადება, ქმედება, რომელიც რუსეთის როლს ამართლებს კონფლიქტების მიმართულებით, მიუღებელია. აბსოლუტურად ვეთანხმები უკრაინის ხელისუფლებას და წარმატებას ვუსურვებ ტერიტორიული მთლიანობის აღდგენაში“, — აღნიშნა ლევან გერაძემ.

მანვე პატივისცემა გამოხატა პეტერბურგელი მსახიობის ოლეგ ბასილაშვილის მიმართ, რომელიც 2008 წლის შემდეგ დემონსტრაციულად ჩამოვიდა საქართველოში, მოინახულა გორი, საიდანაც მამამისი იყო წარმოშობით და დაფიქსირა, რომ რუსეთის ამგვარი ქმედებები არასწორი იყო საქართველოსთან მიმართებით.

„მესმის, ამას გარკვეული გმირობა სჭირდება, რაც ვერ შეძლეს ისეთმა ადამიანებმა, როგორებიც არიან წერეთელი და ცისკარიძე. ისინი გარკვეულ სტრუქტურებს ხელმძღვანელობენ რუსეთში. მოგეხსენებათ, ცისკარიძე არის ბალეტის აკადემიის ხელმძღვანელი, ხოლო ზურაბ წერეთელი — სამხატვრო აკადემიის ხელმძღვანელი. მათ იმაზე მეტი პასუხისმგებლობა აქვთ, ვიდრე ერთ დამოუკიდებელ თავისუფალ მოქალაქეს შეიძლება ჰქონდეს. ამიტომაც ცდილობენ პუტინის მზის ქვეშ ადგილის პოვნას“.

მანანა ნოზაძე

პოლიცია კატალონიის რეფერენდუმის ჩატარებას ხელს შეუშლის

კატალონიის საარჩევნო უბნებს პოლიციელები გააკონტროლებენ. ამის შესახებ გამოცემა გარდიანი იტყობინება. გავრცელებული ინფორმაციით, სამართალდამცველები ოფიციალური მადრიდის დავალებას შეასრულებენ და რეფერენდუმის ჩატარებას ხელს შეუშლიან. დამოუკიდებლობის რეფერენდუმის ჩატარება კატალონიაში 1 ოქტომბერს იგეგმება, თუმცა ესპანეთის ხელისუფლება აცხადებს, რომ ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის ხელყოფას არ დაუშვებს.

მექსიკის საზღვარზე კედლის მშენებლობა დაიწყო

შეერთებულმა შტატებმა მექსიკის საზღვარზე დამცავი კედლის მშენებლობა დაიწყო. ამის შესახებ ამერიკის საბაჟო-სასაზღვრო სამსახური იტყობინება. უწყების განცხადებით, სან-დიეგოში კედლის რვა მონაკვეთის მშენებლობა დაიწყო. ოთხი მათგანი ბეტონის იქნება, დანარჩენ ოთხს კი ალტერნატიული მასალებისგან ააშენებენ. „ყველა ნიმუში 5-დან 9 მეტრის სიმაღლის იქნება. მათ საფუძველზე შეიქმნება მომავალი პროექტები, რომლებიც, სავარაუდოდ, კიდევ გაუმჯობესდება,“-ნათქვამია განცხადებაში.

საუდის არაბეთში ქალებს მანქანის ტარების უფლება მიეცემათ

მომავალი წლიდან საუდის არაბეთში ქალებს მანქანის მართვის უფლება მიეცემათ. შესაბამისი განკარგულება ქვეყნის მონარქმა გასცა. მისივე ბრძანებით, შეიქმნება სპეციალური კომისია, რომელიც შინაგან საქმეთა, ფინანსთა, შრომისა და სოციალური განვითარების სამინისტროების წარმომადგენლებისგან დაკომპლექტდება და ახალ რეგულაციაზე იმუშავებს.

განცხადება
აუქციონის ჩატარების შესახებ

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 306-306[1]6 მუხლების საფუძველზე სპეციალისტი შპს „ემჯი ჰოლდინგი“ კრედიტორ ს/ს „ვითიბი ბანკი ჯორჯიას“ განცხადების საფუძველზე ატარებს პირველ აუქციონს ნათია ცარციძის საკუთრებაში არსებულ იპოთეკით დატვირთულ უძრავ ქონებაზე.

აუქციონი ტარდება შემდეგი პირობებით:

1. **უძრავი ნივთის მესაკუთრე:** ნათია ცარციძე (პ/ნ 42001009688), ქ. ფოთი, დ. აღმაშენებლის ქ. №30, ბინა №38.

უძრავი ნივთის ადგილმდებარეობა და მოკლე აღწერა:
ქ. ფოთი, დ. აღმაშენებლის ქ. №30, ბინა №38 (საკადასტრო კოდი: 04.01.09.672.01.038).

უძრავი ნივთის სამართლებრივი მდგომარეობა: უძრავი ნივთი არ არის დატვირთული გარდამავალი სანივთო ვალდებულებებით.

2. **უძრავი ნივთის საწყისი ფასი:** 13766.77 ლარი;
3. **აუქციონის დაწყების თარიღი:** 2017 წლის 28 სექტემბერი, 14:00 საათი.
4. **აუქციონის დასრულების თარიღი:** 2017 წლის 16 ოქტომბერი, 14:00 საათი.
5. **აუქციონის ჩატარების ფორმა:** ელექტრონული აუქციონი ინტერნეტ მისამართზე www.eauction.ge.
5.1. **ელექტრონული აუქციონის მონაცემები:** განაცხადის №71271HZP47096317;
აუქციონის ნომერი: 71271
ლოტის ნომერი: 470963
6. **მოვალე:** ვიტალი სემილეტოვი (პ/ნ 42001023025), ფოთი, 9 აპრილის ხეივანი №33, ბინა №40;
ნათია ცარციძე (პ/ნ 42001009688), ქ. ფოთი, დ. აღმაშენებლის ქ. №30, ბინა №38.
7. **აუქციონის გამომცხადებელი სპეციალისტის სახელწოდება და მისამართი:** შპს „ემჯი ჰოლდინგი“ (ს/კ 204572284), იურიდიული მისამართი: ქ. თბილისი, საირმის ქ. №10, ბინა 31.
8. **აუქციონის პირობები:**

- აუქციონში მონაწილეობის მიღების უფლება აქვს ნებისმიერ პირს, მათ შორის, კრედიტორს, მოვალეს და მესაკუთრეს;
- მესაკუთრეს ან ნებისმიერ პირს მესაკუთრესთან შეთანხმებით ან/და მესამე პირს, რომლის უფლებაც შეიძლება შეილახოს აუქციონის შედეგად, უფლება აქვს, აუქციონის ჩატარებამდე მოთხოვნის დაკმაყოფილებით თავიდან აიცილოს აუქციონი;
- აუქციონში მონაწილეობის მსურველმა, აუქციონის დაწყებამდე უნდა წარმოადგინოს საბანკო გარანტია უძრავი ნივთის საწყისი ფასის 10%-ის ოდენობით, რომელიც უნდა უზრუნველყოფდეს აუქციონში გამარჯვების შემთხვევაში თანხის სრულად გადახდას. საბანკო გარანტიის ბენეფიციარი უნდა იყოს კრედიტორი — ს/ს „ვითიბი ბანკი ჯორჯია“.
- აუქციონში გამარჯვებული პირი ვალდებულია, ქონების შეძენიდან 7 დღის ვადაში სრულად გადაიხადოს უძრავი ნივთის ღირებულება, რომელიც უნდა შეიტანოს შპს „ემჯი ჰოლდინგის“ საბანკო ანგარიშზე (ს/ს „თიბისი ბანკი“, ანგარიშის ნომერი GE17TB1188736020100003). წინააღმდეგ შემთხვევაში აუქციონის შედეგები გაუქმდება და ჩატარდება ხელახალი აუქციონი. აუქციონში გამარჯვებულ პირს ქონებაზე საკუთრების უფლება წარმოეშობა ფასის სრულად გადახდის შემდეგ.

9. **აუქციონის პირობები:** გამოქვეყნებულია ინტერნეტ მისამართზე www.eauction.ge (განაცხადის №71271HZP47096317; ლოტის ნომერი: 470963).

ნებისმიერ პირს, ვისაც გააჩნია უფლებები სარეალიზაციო უძრავ ქონებაზე, ვალდებულია ამ უფლებათა დამადასტურებელი მტკიცებულებები წარმოადგინოს 2017 წლის 16 ოქტომბრის, 10:00 საათამდე, შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, გერგეთის ქ. №3.

განცხადება
აუქციონის ჩატარების შესახებ

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 306-306[1]6 მუხლების საფუძველზე სპეციალისტი შპს „ემჯი ჰოლდინგი“ კრედიტორ ს/ს „ვითიბი ბანკი ჯორჯიას“ განცხადების საფუძველზე ატარებს პირველ აუქციონს ეთერ მელაძის საკუთრებაში არსებულ იპოთეკით დატვირთულ უძრავ ქონებაზე.

აუქციონი ტარდება შემდეგი პირობებით:

1. **უძრავი ნივთის მესაკუთრე:** ეთერ მელაძე (პ/ნ 61003008820), ბათუმი, თამარ მეფის დასახლება №7, ბინა №13.

უძრავი ნივთის ადგილმდებარეობა და მოკლე აღწერა:
ბათუმი, თამარ მეფის დასახლება №7, ბინა №13 (საკადასტრო კოდი: 05.30.22.010.01.013).

უძრავი ნივთის სამართლებრივი მდგომარეობა: უძრავი ნივთი არ არის დატვირთული გარდამავალი სანივთო ვალდებულებებით.

2. **უძრავი ნივთის საწყისი ფასი:** 20613.10 ლარი;
3. **აუქციონის დაწყების თარიღი:** 2017 წლის 28 სექტემბერი, 14:00 საათი.
4. **აუქციონის დასრულების თარიღი:** 2017 წლის 16 ოქტომბერი, 14:00 საათი.
5. **აუქციონის ჩატარების ფორმა:** ელექტრონული აუქციონი ინტერნეტ მისამართზე www.eauction.ge.
5.1. **ელექტრონული აუქციონის მონაცემები:** განაცხადის №71271HZP47096417;
აუქციონის ნომერი: 71271
ლოტის ნომერი: 470964
6. **მოვალე:** იგორ ბოლქვაძე (პ/ნ 61003008561), ბათუმი, თამარ მეფის დასახლება №7, ბინა №13;
ეთერ მელაძე (პ/ნ 61003008820), ბათუმი, თამარ მეფის დასახლება №7, ბინა №13.
7. **აუქციონის გამომცხადებელი სპეციალისტის სახელწოდება და მისამართი:** შპს „ემჯი ჰოლდინგი“ (ს/კ 204572284), იურიდიული მისამართი: ქ. თბილისი, საირმის ქ. №10, ბინა 31.
8. **აუქციონის პირობები:**

- აუქციონში მონაწილეობის მიღების უფლება აქვს ნებისმიერ პირს, მათ შორის, კრედიტორს, მოვალეს და მესაკუთრეს;
- მესაკუთრეს ან ნებისმიერ პირს მესაკუთრესთან შეთანხმებით ან/და მესამე პირს, რომლის უფლებაც შეიძლება შეილახოს აუქციონის შედეგად, უფლება აქვს, აუქციონის ჩატარებამდე მოთხოვნის დაკმაყოფილებით თავიდან აიცილოს აუქციონი;
- აუქციონში მონაწილეობის მსურველმა, აუქციონის დაწყებამდე უნდა წარმოადგინოს საბანკო გარანტია უძრავი ნივთის საწყისი ფასის 10%-ის ოდენობით, რომელიც უნდა უზრუნველყოფდეს აუქციონში გამარჯვების შემთხვევაში თანხის სრულად გადახდას. საბანკო გარანტიის ბენეფიციარი უნდა იყოს კრედიტორი — ს/ს „ვითიბი ბანკი ჯორჯია“.
- აუქციონში გამარჯვებული პირი ვალდებულია, ქონების შეძენიდან 7 დღის ვადაში სრულად გადაიხადოს უძრავი ნივთის ღირებულება, რომელიც უნდა შეიტანოს შპს „ემჯი ჰოლდინგის“ საბანკო ანგარიშზე (ს/ს „თიბისი ბანკი“, ანგარიშის ნომერი GE17TB1188736020100003). წინააღმდეგ შემთხვევაში აუქციონის შედეგები გაუქმდება და ჩატარდება ხელახალი აუქციონი. აუქციონში გამარჯვებულ პირს ქონებაზე საკუთრების უფლება წარმოეშობა ფასის სრულად გადახდის შემდეგ.

9. **აუქციონის პირობები:** გამოქვეყნებულია ინტერნეტ მისამართზე www.eauction.ge (განაცხადის №71271HZP47096417; ლოტის ნომერი: 470964).

ნებისმიერ პირს, ვისაც გააჩნია უფლებები სარეალიზაციო უძრავ ქონებაზე, ვალდებულია ამ უფლებათა დამადასტურებელი მტკიცებულებები წარმოადგინოს 2017 წლის 16 ოქტომბრის, 10:00 საათამდე, შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, გერგეთის ქ. №3.

საქმე №1/55-2017

საარბიტრაჟო დადგენილება

შ.პ.ს „მუდმივმოქმედი არბიტრაჟი თემიდა-კ.ტ“-ს სახელით

საარბიტრაჟო შეტყობინების საჯაროდ გავრცელების შესახებ

ქ. თბილისი 22 სექტემბერი 2017 წელი

არბიტრი: **ქეთევან ტაბატაძე**

საარბიტრაჟო მოსარჩელე: **შპს „ნოვა კრედიტი”**

საარბიტრაჟო მოპასუხე: **ირაკლი ციკოლია, ვალერი ქარჩავა**

დავის საგანი: **სესხის თანხის გადახდის დაკისრება**

გამოარკვია

შპს „მუდმივმოქმედი არბიტრაჟი თემიდა-კ.ტ“-ს მიერ 2017 წლის 30 აგვისტოს წარმოებაში იქნა მიღებული შპს „ნოვა კრედიტი”-ს სარჩელი მოპასუხე ირაკლი ციკოლიასა და ვალერ ქარჩავას მიმართ სესხის თანხის გადახდის დაკისრების მოთხოვნით.

მოსარჩელე მხარის განმარტებით:

2014 წლის 22 აპრილს შპს „ნოვა კრედიტსა” და ირაკლი ციკოლიას შორის დაიდო №041413049 სესხისა და გირავნობის ძირითადი ხელშეკრულება, რომლის თანახმადაც შპს „ნოვა კრედიტმა” მსესხებელზე გასცა 1130 აშშ დოლარის ოდენობით სესხი, წლიური 72 საპროცენტო განაკვეთით. თანხის დაბრუნების ვადად განისაზღვრა 12 თვე.

ხელშეკრულების თანახმად, ისეთ შემთხვევაში თუ მსესხებელი ხელშეკრულებით ნაკისრ ვალდებულებას დაარღვევს მას დაერიცხება პირგასამტეხლო ვადაგადაცილებული თანხის 3% ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე. ამასთან მთლიანი ძირითადი თანხის ვადაგადაცილების შემთხვევაში ძირითადი თანხისა და მიუღებელი სარგებლის ჯამის 0.3 პროცენტი ყოველ ვადაგადაციელბულ დღეზე.

2014 წლის 22 აპრილს შპს „ნოვა კრედიტსა” და ვალერ ქარჩავას შორის გაფორმდა თავდებობის ხელშეკრულება.

მსესხებელმა ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულება დაარღვია.

მოსარჩელე მხარემ მოითხოვა ხელშეკრულებით გათვალისწინებული სესხის თანხის მოპასუხეებზე გადახდის დაკისრება.

საარბიტრაჟო სარჩელი თანდართული მასალებითა და საარბიტრაჟო უწყება მოპასუხე ირაკლი ციკოლიას ორჯერ გაეგზავნა მისი რეგისტრაციის მიხედვით მისამართზე, თუმცა კორესპონდენციის რამოდენიმე მიწოდებისა და ჩაბარების მცდელობა უშედეგო აღმოჩნდა. როგორც აღნიშნულ გზავნილებზე უფლებამოსილ პირთა მიერ განხორციელებული ჩანაწერებით ირკვევა ადრესატი რეგისტრაციის მიხედვით მისამართზე არ ცხოვრობს.

საარბიტრაჟო სარჩელი თანდართული მასალებითა და საარბიტრაჟო უწყება მოპასუხე ვალერ ქარჩავას ორჯერ გაეგზავნა ხელშეკრულებაში მითითებულ მისამართზე, თუმცა კორესპონდენციის რამოდენიმე მიწოდებისა და ჩაბარების მცდელობა უშედეგო აღმოჩნდა. როგორც აღნიშნულ გზავნილებზე უფლებამოსილ პირთა მიერ განხორციელებული ჩანაწერებით ირკვევა ადრესატის მიერ ხელშეკრულებაში მითითებული მისამართი არასრულია.

არბიტრაჟმა განიხილა საქმის მასალები და მიიჩნია, რომ აუცილებლობას წარმოადგენს მოპასუხე ირაკლი ციკოლიასა და ვალერ ქარჩავას მათ წინააღმდეგ მიმართული სამოქალაქო დავის წარმოებისა და განხილვის დღე ეცნობოს შეტყობინების საჯაროდ გავრცელების გზით. ამ დასკვნის მართებულობას განაპირობებს შემდეგი საფუძვლის არსებობა:

დადგენილია, რომ მოპასუხე ირაკლი ციკოლია რეგისტრაციის მიხედვით მისამართზე არ ცხოვრობს, მისი ფაქტობრივი ადგილსამყოფელი კი უცნობია.

დადგენილია, რომ მოპასუხე ვალერ ქარჩავას მიერ ხელშეკრულებაში მითითებული მისამართი არასრულია, მისი სხვა ფაქტობრივი ადგილსამყოფელი კი უცნობია.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 71-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, თუ მოსარჩელის მიერ მითითებული მოპასუხის მისამართი სწორია და მას შეტყობინება ვერ ბარდება ამავე კოდექსის 73-ე მუხლის I პრიმა ნაწილით გათვალისწინებულ მოთხოვნათა დაცვით არბიტრაჟი ხელმძღვანელობს ამავე კოდექსის 78-ე მუხლის დებულებებით.

აღნიშნულიდან გამომდინარე, არბიტრაჟს მიაჩნია, რომ მიღებული უნდა იქნეს დადგენილება საარბიტრაჟო შეტყობინების საჯაროდ გავრცელების შესახებ, რომელიც უნდა განთავსდეს არბიტრაჟის ვებგვერდზე.

არბიტრაჟმა იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 78-ე, 284-285-ე მუხლით, შ.პ.ს „მუდმივმოქმედი არბიტრაჟი თემიდა-კ.ტ“-ს დებულებით.

დაადგინა

1. საარბიტრაჟო შეტყობინების საჯაროდ გავრცელების შესახებ დადგენილებით მოპასუხე ირაკლი ციკოლიასა (პირადი №62001012643) და ვალერ ქარჩავას (პირადი №62006005446) ეცნობოთ, რომ მათ წინააღმდეგ შ.პ.ს „მუდმივმოქმედი არბიტრაჟი თემიდა-კ.ტ“-ს წარმოებაშია შპს „ნოვა კრედიტი”-ს სარჩელი სესხის თანხის გადახდის დაკისრების მოთხოვნით.

2. ირაკლი ციკოლიასა და ვალერ ქარჩავას განემარტოთ, რომ:

გზავნილის ჩაბარებიდან 5 (ხუთი) კალენდარული დღის ვადაში, შეგიძლიათ წარმოადგინოთ შესაგებელი 2 (ორი) ეგზემპლარად მტკიცებულებებთან ერთად შ.პ.ს „მუდმივმოქმედი არბიტრაჟი თემიდა-კ.ტ“-ში, შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, დ. აღმაშენებლის გამზ. 175/ბორჯომის ქ. №2, ბინა 11. ასევე შეგიძლიათ გამოიყენოთ ის საპროცესო უფლებები, რომელიც გამომდინარეობს საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობიდან, „არბიტრაჟის შესახებ“ საქართველოს კანონიდან და შ.პ.ს „მუდმივმოქმედი არბიტრაჟი თემიდა-კ.ტ“-ს დებულებიდან.

თქვენს წერილობით შესაგებელში (პასუხში), მითითებული უნდა იყოს: ცნობთ თუ არა საარბიტრაჟო სარჩელს. თუ საარბიტრაჟო სარჩელს არ ცნობთ, რა კონკრეტულ გარემოებებსა და მტკიცებულებებს ემყარება თქვენი შესაგებელი მოსარჩელის საარბიტრაჟო სარჩელის წინააღმდეგ. რა საპროცესო საშუალებით აპირებთ საარბიტრაჟო სარჩელისაგან თავის დაცვას, კერძოდ, ხომ არ აპირებთ შეგებებული საარბიტრაჟო სარჩელის აღძვრას, ხომ არ უარყოფთ საარბიტრაჟო სარჩელის დასაშვებობას. რომელი მოწმე (სახელი, გვარი, საცხოვრებელი მისამართი ან სამუშაო ადგილი) უნდა იქნეს გამოძახებული საარბიტრაჟო სხდომაზე, რისი დადასტურება შეუძლია თქვენს მიერ წარმოსადგენ მოწმეს. ხომ არ გაგაჩნიათ შუამდგომლობები.

3. განემარტოს მოპასუხეებს, ირაკლი ციკოლიასა და ვალერ ქარჩავას მათ მიერ შესაგებლის წარმოუდგენლობის შემთხვევაში არბიტრაჟი განაგრძობს საქმის განხილვას. შესაგებლის წარმოუდგენლობა არ ჩაითვლება სარჩელის ცნობად.

4. მოპასუხე ირაკლი ციკოლიასა და ვალერ ქარჩავას ეცნობოთ, რომ 2017 წლის 16 ოქტომბერს 10:00 საათზე შ.პ.ს „მუდმივმოქმედი არბიტრაჟი თემიდა-კ.ტ“-ში შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, დ. აღმაშენებლის გამზ. 175/ბორჯომის ქ. №2, ბინა 11, დანიშნულია საარბიტრაჟო განხილვა შპს „ნოვა კრედიტი”-ს სარჩელზე, სესხის თანხის გადახდის დაკისრების მოთხოვნით ირაკლი ციკოლიასა და ვალერ ქარჩავას მიმართ.

5. ირაკლი ციკოლიასა და ვალერ ქარჩავას ეცნობოთ, თუ ისინი არ გამოცხადდებიან საარბიტრაჟო განხილვაზე, ვალდებულნი არიან არბიტრაჟს აცნობონ გამოუცხადებლობის მიზეზი. თუ დადგენილი წესით გაფრთხილებული მხარე არ გამოცხადდება არბიტრაჟში, არბიტრაჟი უფლებამოსილია მის დაუსწრებლად განიხილოს საქმე, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მეორე მხარე ითხოვს საქმის გადადებას.

6. განემარტოს მოპასუხე მხარეს, რომ საარბიტრაჟო გზავნილი და უწყება მასზედ ჩაბარებულად ითვლება წინამდებარე დადგენილების გაზეთში გამოქვეყნებიდან მე-7 დღეს.

7. საარბიტრაჟო შეტყობინების საჯაროდ გავრცელების შესახებ დადგენილება გამოქვეყნდეს გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკა”-ში მოსარჩელე მხარის ხარჯით.

8. საარბიტრაჟო დადგენილებაზე საჩივრის შეტანა არ შეიძლება.

არბიტრი: ქეთევან ტაბატაძე

◎ ჭიდაობა

ჯილდოები არ ეანებათ

თავისუფალ, ბერძნულ-რომაულ და ქალთა ჭიდაობებში, მსოფლიოს და კონტინენტურ ჩემპიონატებსა და პირველობებში, ასევე, საერთაშორისო ტურნირებში მედლების 8-8 კომპლექტი თამაშდებოდა. მსოფლიოს ჭიდაობის გაერთიანების (UWW) გადაწყვეტილებით, 2018 წლიდან ჯილდოებს კიდევ ორ-ორი



კომპლექტი დაემატება, თუმცა, ეს ცვლილება ოლიმპიური თამაშების პროგრამაზე არ იმოქმედებს – იქ უწინდებურად 6-6 წონაში გამოავლენენ მედლების მფლობელებს.

ბერძნულ-რომაულ ჭიდაობაში პრიზიორები გახდებიან 55, 60, 63 67, 72 77, 82 87, 97 და 130 კილოში, ოლიმპიური ლიცენზიებისთვის კი 60, 67, 77, 87, 97 და 130 კილოში იბრძოლებენ. თავისუფალ ჭიდაობაში ჩემპიონატებზე მედლებით დაჯილდოებენ 57, 61, 65, 70, 74, 79, 86, 92, 97 და 125 კილოში გამარჯვებულებსა და პრიზიორებს, ხოლო ტოკიოს ოლიმპიადაზე – 57, 65, 74, 86, 97 და 125 კილოგრამებში. ქალებისთვის ასეთი წონები დაწესდა – 50, 53, 55, 57, 59, 62, 65, 68, 72 და 76 კილოგრამი, ოლიმპიადებზე – 50, 53, 57, 62, 68 და 76 კილოგრამები. მსგავსი წონითი კატეგორიები იქნება ახალგაზრდებსა და 23-წლამდელთა შეჯიბრებებში. დაზუსტდა ისიც, რომ ტოკიოს თამაშების თითოეულ წონაში 16-16 ფალავანი იბრძოლებს კვარცხლბეკზე ასასვლელად. 6 საგზური მსოფლიოს ჩემპიონატებზე, 8 ლიცენზია კონტინენტურ საკვალიფიკაციო ტურნირებსა და 2-ც მსოფლიოს საკვალიფიკაციო შეჯიბრებაზე გათამაშდება.

ლექსო ცინცაძე

გუშინ

ჭადრაკი. ვაჟთა მსოფლიო თასის გათამაშება. ფინალი. ლევონ არონიანმა (სომხეთი) ორივე დამატებითი პარტია მოუგო დინ ლიჟენს (ჩინეთი) და პირველად ავიდა ოლიმპზე.

◎ ფუტსალი

ნახვამდის, ევროპა

ევროპის ჩემპიონატის პლეი-ოფის განმეორებით შეხვედრაში საქართველოს ნაკრებმა რუმინეთთან პირველი ტაიმი 3:3 დაასრულა,. საბოლოოდ კი ჩვენი გუნდი 4:7 დამარცხდა.

შეგახსენებთ, რომ მათ პირველ მატჩში ფრე 2:2 დაფიქსირდა. პლეი–ოფში გამარჯვებული რუმინეთის ნაკრები 2018 წელს სლოვენიაში დაგეგმილ ევროპის ჩემპიონატზე ითამაშებს. საქართველოს ნაკრებმა პლეი–ოფში გასვლა პირველად შეძლო, ხოლო რუმინეთმა ევროპის ჩემპიონატის ფინალური ეტაპის საგზური მეოთხედ მოიპოვა.

საქართველო – რუმინეთი 4:7

თბილისი, ოლიმპიური სასახლე

საქართველო: კუპატაძე, ჭანუყვაძე, რონინიო, ბობოხიძე, სებისკვერაძე.

სათადარიგო შემადგენლობა: ბუკია, კაკაბაძე, ლუკავა, თოფურია, კობაიძე, თოდუა, მაისაია, კურტანიძე, ფუმასა.

მთავარი მწვრთნელი: ავთანდილ ასათიანი.

რუმინეთი: იანკუ, ფ. მატეი, პაულო ფერეირა, იგნატი, ვალადარეში.

სათადარიგო შემადგენლობა: ტონიცა, მ. მატეი, რადუცუ, ლუპუ, პინტუ, სტოიკა, ზიოსი, სომა, პანზარუ.

მთავარი მწვრთნელი: რობერტ ლუპუ.

მსაჯები: ონდრეი ჩერნი (ჩეხეთი), ტიმო ონაკუ (ფინეთი), კირილ ნაიშოულერი (ფინეთი).

გაფრთხილება: 00:24 სებისკვერაძე, 08:15 ვალადარეში, 13:36 ლუპუ, 15:57 სომა, 22:22 ჭანუყვაძე, 32:51 ლუკავა, 39:03 თოდუა.

გოლები: 0:1 ვალადარეში (03:41), 1:1 კაკაბაძე (05:11), 2:1 სებისკვერაძე (06:33), 3:1 სებისკვერაძე (11:35), 3:2 პაულო ფერეირა (12:06), 3:3 სტოიკა (19:59), 3:4 ვალადარეში (21:07), 4:4 კურტანიძე (22:48), 4:5 ვალადარეში (26:34), 4:6 რადუცუ (34:20), 4:7 ვალადარეში (36:43.

მანუჩარ გიორგაძე

◎ ფეხბურთი

კადრები წყვეტენ ყველაფერს

კი ვამბობთ, ფეხბურთი კოლექტიური თამაშიაო, მაგრამ, აბა, წარმოვიდგინოთ, სოლისტების გარეშე რამდენი რამ დააკლდებოდა სპორტის ნებისმიერ სახეობას.

ასეთი შესავალი ჩემპიონთა ლიგის ჯგუფური რაუნდის მეორე ტურში მომხდარმა სენსაციამ გვიკარნახა, რომელიც მონტე-კარლოში გამოცხვა.

როგორც მოგეხსენებათ, გასულ სეზონში ლეონარდო ჟარდიმის გუნდი სანახაობრივი თამაშით გამოირჩეოდა და დაუვიწყარი სპექტაკლები დადგა როგორც ლიგა – 1-ში, ისე საერთაშროისო სარბიელზე. სამთავროელებს წლეულს მას შემდეგ გაუჭირდათ, რაც „პარი სენ-ჟერმენში“ უკვე ნახსენები წარმატებების მთავარი შემოქმედი, 18 წლის ვუნდერკინდი კილიან მბაპე გაუშვეს. მართალია, „მონაკო“ სხვა ლიდერებმაც დატოვეს (მაგალითად, ბერნარდომ, ბაკაიოკომ და ლემარმა), მაგრამ ჭაბუკ ვარსკვლავთან გამოთხოვება მაინც აუნაზღაურებელი დანაკლისი აღმოჩნდა, რაც მშვენივრად წარმოაჩინა „პორტუსთან“ საშინაო ფიასკომ – 0:3. იმავე საღამოს აღსანიშნავი ფაქტი მოხდა დორტმუნდში, სადაც, პირველად ყველაზე პრესტიჟული ევროტურნირის განმავლობაში, გამარჯვება მოიპოვა მადრიდის „რეალმა“ – 3:1. აბა, როგორ იქნებოდა, პარტნიორთა წარმატებაში ლომის წილი კრიშტიანუ რონალდუს რომ არ დაედო – ნავსის გატეხვაში მან წვლილი დუბლით შეიტანა. აქამდე იმავე მეტოქესთან გერმანიაში გამართული ექვსი შეხვედრიდან „სამეფო კლუბმა“ სამი მოიგო და სამიც ფრედ დაასრულა.

„ე“ ჯგუფი. „სპარტაკი“ – „ლივერპული“ 1:1, „სევილია“ – „მარიბორი“ 3:0. „სევილია“ – 4, „ლივერპული“, „სპარტაკი“ – 2-2, „მარიბორი “ – 1 ქულა. **„ვ“ ჯგუფი.** „სიტი“ – „შახტარი“ 2:0, „ნაპოლი“ – „ფეიენოორდი“ 3:1. „სიტი“ – 6, „შახტარი“, „ნაპოლი“ – 3-3,ი „ფეიენოორდი“ – 0 ქულა. **„ზ“ ჯგუფი.** „მონაკო“ – „პორტუ“ 0:3, „ბეშიქთაში“ – „ლაიფციგი“ 2:0. „ბეშიქთაში“ – 6, „პორტუ“ – 3, „ლაიფციგი“, „მონაკო“ – 1-1 ქულა. **„თ“ ჯგუფი.** „დორტმუნდი“ – „რეალი“ 1:3, „აპოელი“ – „ტოტენჰემი“ 0:3. „ტოტენჰემი“, „რეალი“ – 6-6, „დორტმუნდი“, „აპოელი“ – 0-0 ქულა.

გიორგი შოთაძე

◎ ჩოგბურთი

ბასილაშვილი – სრული სვლით!

საძართველოს ნომერ პირველმა ჩოგბურთელმა ნიკოლოზ ბასილაშვილმა ჩინეთში მიმდინარე ჩენდუს საერთაშორისო ტურნირის 1/16-ფინალში სერბი ვიქტორ ტროიცკი 6:3, 2:6, 6:2 დაამარცხა. შეხვედრა საათსა და 42 წუთს გაგრძელდა.

პირველი სეტი ნიკამ მარტივად მოიგო. მეორე პარტიასაც 2:0-ს იგებდა და თითქოს საქმე ლოგიკურ დასასრულამდე უნდა მიეყვანა, მაგრამ საბოლოოდ სეტი ჩააგდო და ტროიცკიმ ზედიზედ 6 გეიმი მოიგო. გადამწყვეტ პარტიაში, მიუხედავად იმისა, რომ სერბს ფსიქოლოგიური უპირატესობა ჰქონდა, ქართველი ჩოგბურთელის სასახელად უნდა ითქვას, რომ ნიკოლოზმა მოახერხა და მატჩის დასკვნითი ნაწილი უმაღლეს დონეზე ჩაატარა. ბასილაშვილმა 15 შესაძლებლობიდან 5 ბრეიკი შეასრულა, ხოლო ტროიცკიმ – 9-დან 4.

1/8-ფინალში ნიკას მეტოქე მსოფლიო რეიტინგის 94-ე ნომერი, 19 წლის ტეილორ ფრიტცი იქნება. აქამდე ეს ორი ჩოგბურთელი ერთმანეთს არ შეხვედრია.

ჩენდუს ტურნირის საპრიზო ფონდი 1.1 მილიონ ამერიკულ დოლარს შეადგენს. ბასილაშვილმა ტროიცკისთან გამარჯვებით 17.570 დოლარი და 20 სარეიტინგო ქულა გამოიმუშავა.

კობა კობახიძე

◎ კალათბურთი

სეზონი მემორიალით გაიხსნება

1 ოქტომბერს საქართველოში საკალათბურთო სეზონი დუდუ დადიანის მემორიალით იხსნება. ტრაგიკულად დაღუპული ეროვნული ფედერაციის ვიცეპრეზიდენტის ხსოვნის ტურნირი ტრადიციულია, ისტორიას 2002 წლიდან იღებს და წელს მეთექვსმეტედ ჩატარდება. ტურნირის მასპინძელი 1-დან 6 ოქტომბრის ჩათვლით თბილისის ოლიმპიური სასახლე იქნება.

დუდუ დადიანის მემორიალი ღია ტურნირს წარმოადგენს და ნებისმიერი გუნდისთვის მისი კარი ღიაა. ამ ტურნირში სხვადასხვა დროს აზერბაიჯანისა და ყაზახეთის კლუბები მონაწილეობდნენ, წელს კი მასში საქართველოს „ა“ ლიგის წარმომადგენელიც იასპარეზებს.

გათამაშების სისტემის თანახმად, მემორიალის მონაწილე 9 გუნდი 3 ჯგუფშია გადანაწილებული. გუნდები ჯგუფებში გასული სეზონის შედეგების მიხედვით განთავსდნენ. დუდუ დადიანის მემორიალში „ბათუმის“ გარდა სუპერლიგის ყველა გუნდი მონაწილეობს. „ა“ ლიგიდან ტურნირში გამოსვლის სურვილი გამოთქვა „თსუ-ჰიუნდაიმ“, რომელსაც გასულ სეზონში სუპერლიგაში გადმოსვლამდე 1 ნაბიჯი დააკლდა.

„ა“ ჯგუფი: დინამო, მგზავრები, თსუ ჰიუნდაი.

„ბ“ ჯგუფი: ქუთაისი, სოხუმი, მარნეული.

„გ“ ჯგუფი: რუსთავი, კაკტუსი, ოლიმპი.

გათამაშების ფორმატის თანახმად, გუნდები ჯგუფებში ერთ წრეს ითამაშებენ, რის შემდეგაც ნახევარფინალში ჯგუფების გამარჯვებულები და საუკეთესო მეორეადგილოსანი გავლენ. ნახევარფინალში გუნდები ჯგუფური ეტაპის დასრულების შემდეგ 4 ოქტომბერს დაგეგმილი კენჭისყრის შედეგად დაწყვილდებიან.

ნახევარფინალები 5 ოქტომბერს გაიმართება, ხოლო ფინალს ოლიმპიური სასახლე 6-ში 19 საათზე უმასპინძლებს.

ვიტალი ჯაფარიძე

◎ ინტერნეტიდან

შეხედავ – გული გაგინათდება

ესპანელ მობურთალებს მეგობარი ქალების და ცოლების არჩევა რომ არ ეშლებათ და ამ ამბავში ჭეშმარიტად ჩემპიონები არიან – ეს საყოველთაოდ ცნობილი ამბავია. თუმცა, ესპანელ ფეხბურთელთა ამდენ ხელიხელსაგოგმანებ მეორე ნახევრებს შორის ვეტერანი გოლკიპერის ვიქტორ ვალდესის ცოლი იოლანდა კარდონა მაინც მარგალიტივით მოჩანს.

შორს წაგვიყვანს ჩამოთვლა იმ მრავალი ტიტულისა თუ წოდებისა, რაც იოლანდას საკუთარმა სილამაზემ და უხვმოსავლიანმა სამოდელო კარიერამ მოუტანა. კარდონას ქალის ტიტულები და აღიარებები რომ დაავჯამოთ, შესაძლოა, თავად ვიქტორ ვალდესზე მეტად დაფასებული ადამიანიც კი შეგრჩეთ ხელში. თუმცა, ეს არაა მთავარი...

მთავარი ისაა, რომ მიუხედავად 30 წლის ასაკის უკან მოტოვებისა, იოლანდას წლები ვერაფერს აკლებს და იგი ძველებურად ძალუმად აჭრიალებს პოდიუმის ფიცარნაგსაც და ფოტოსტუდიების ჭიშკარსაც.

როსტომ რაჭველიშვილი

სასამართლომ ფარულ მოსმენაზე უარი 265 შემთხვევიდან მხოლოდ 10-ზე თქვა

2017 წლის იანვრიდან ივლისის ჩათვლით, საერთო სასამართლოებში სატელეფონო საუბრის მოსმენების ნებართვაზე საგამოძიებო ორგანოებიდან 265 შუამდგომლობა შევიდა, საიდანაც მხოლოდ 10 შუამდგომლობა არ დაკმაყოფილდა. ამის შესახებ ინფორმაციას 1tv უზენაეს სასამართლოდან გამოთხოვილ მონაცემებზე დაყრდნობით ავრცელებს.

265 შუამდგომლობიდან მოსმენების ნებართვა 239-ზე გაიცა, 16 შუამდგომლობა ნაწილობრივ დამკაყოფილდა, ხოლო მოსმენებზე უარი მხოლოდ 10 შემთხვევაში უთხრეს საგამოძიებო ორგანოს.

რაც შეეხება მოსმენების მოთხოვნისა და დაკმაყოფილების სტატისტიკას რეგიონების მიხედვით, მიყურადების შესახებ ყველაზე მეტი შუამდგომლობა თბილისში დაკმაყოფილდა — 197-ჯერ სთხოვეს საგამოძიებო უწყებებმა სასამართლოს სატელეფონო მიყურადებაზე ნებართვა, საიდანაც სასამართლომ სრულად 182 შუამდგომლობა დააკმაყოფილა, 12 ნაწილობრივ, ხოლო 3 შემთხვევაში პირების მოსმენაზე უარი თქვა.

მეორე ადგილზეა ქუთაისი, სადაც გამოძიებამ 25 პირის მოსმენის შუამდგომლობით მიმართა სასამართლოს, 25-დან 23 სრულად დაკმაყოფილდა, 2 კი — ნაწილობრივ.

მესამე ადგილზეა ბათუმი, სადაც 11 შუამდგომლობიდან 10-ის შემთხვევაში სასამართლომ გამოძიებას სხვადასხვა პირების მოსმენის ნებართვა მისცა.

გარდა ამისა, უზენაესი სასამართლოს ინფორმაციით, სატელეფონო საუბრის ფარული მიყურადებისა და ჩაწერის ვადის გაგრძელების თაობაზე საქალაქო და რაიონული სასამართლოების მიერ განხილულია 86 შუამდგომლობა, მათ შორის სრულად დაკმაყოფილდა 78, ნაწილობრივ დაკმაყოფილდა 8.

საკონსტიტუციო სასამართლოში 19 ივნისი-

დან მოყოლებული ფარული მოსმენების შესახებ კანონის კონსტიტუციურობაზე მსჯელობენ. კამპანია „ეს შენ გეხებას“ ფარგლებში საკონსტიტუციო სასამართლოს 326-მა მოქალაქემ და სახალხო დამცველმა მიმართეს. მეგობრის სტატუსით დარეგისტრირდა პრეზიდენტის წერილობითი შუამდგომლობაც.

ყაჩაღობაში და ქურდობაში ბრალდებულს 9 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯეს

თბილისის საქალაქო სასამართლომ სრულად გაიზიარა ბრალდების მხარის მიერ წარდგენილი მტკიცებულებები და ყაჩაღობაში და ქურდობაში ბრალდებული კ.ნ. დამნაშავედ სცნო საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 179-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით და 177-ე მუხლის პირველი ნაწილით.

სასამართლოში წარდგენილი მტკიცებულებებით დადასტურდა, რომ 2017 წლის 6 იანვარს დაახლოებით 21:00 საათზე კ.ნ.-მ ქალაქ თბილისში უკანონოდ შეაღწია ს.კ.-ს საცხოვრებელ სახლში და ამ უკანასკნელს თანხა და ოქროს ნივთები მოთხოვა. უარის მიღების შემდეგ კ.ნ.-მ დაზარალებულს სცემა, რა დროსაც სიცოცხლის მოსპობით ემუქრებოდა. ძალადობრივი ქმედების შედეგად ს.კ.-მ მრავლობითი დაზიანებები მიიღო და გონება დაკარგა, ხოლო კ.ნ. დაეუფლა „SHARP“-ის ფირმის ტელევიზორს და შემთხვევის ადგილიდან მიიმალა.

სასამართლოში ასევე დადასტურდა, რომ კ.ნ. 2017 წლის 10 იანვარს, დაახლოებით 08:00 საათზე ფარულად, მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით, დაეუფლა ქ.თბილისში მდებარე ერთ-ერთი რესტორნის კუთვნილ პატეფონს და „სილქნეტის“ მოდემს.

სამართალდამცველებმა კ.ნ. 10 იანვარს თბილისში დაიკავეს.

თბილისის საქალაქო სასამართლომ კ.ნ. სრულად სცნო დამნაშავედ წარდგენილ ბრალდებაში და სასჯელის სახედ და ზომად 9 წლით თავისუფლების აღკვეთა განუსაზღვრა.

ინფორმაცია

2017 წლის 17 ნოემბერს 13:00 საათზე, დაბა ხარაგაულის მუნიციპალიტეტის გამგეობის ადმინისტრაციულ შენობაში მის: 9 აპრილის ქუჩა #15. გაიმართება შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის ძირულა–ხარაგაული–მოლითი–ფონა-ჩუმათელეთის საავტომობილო გზის პირველი ლოტის, ძირულა-ხარაგაული-მოლითის მონაკვეთის რეაბილიტაცია-რეკონსტრუქციის პროექტის გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშის საჯარო განხილვა. შეხვედრის მიზანია დაგეგმილ სამუშაოთა ზემოქმედების არეალში მოქცეული ადგილობრივი მოსახლეობის ინფორმირება.

საზოგადოების წარმომადგენლებს დაგეგმილ საქმიანობასთან დაკავშირებული დოკუმენტაციის გაცნობის საშუალება ექნებათ შემდეგ მისამართებზე:

- საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის ვებ–გვერდზე: www.georoad.ge
- დაბა ხარაგაულის მუნიციპალიტეტის გამგეობის ადმინისტრაციულ შენობაში მის: 9 აპრილის ქუჩა #15 (ბეჭდური ვერსია)

გთხოვთ, წერილობითი შენიშვნები და კომენტარები მიაწოდოთ ქალბატონ ლუიზა ბუბაშვილს ტელ: 595 219141 ელ.ფოსტა: likabubashvili@yahoo.com

საზოგადოების მოსაზრებების წარდგენის ბოლო ვადაა დაგეგმილი საქმიანობის შესახებ ინფორმაციის გამოქვეყნებიდან 45 დღე.

მკვლელობა თელავში

თელავის მუნიციპალიტეტის სოფელ კურდღელაურში ახალგაზრდა მამაკაცი მოკლეს. მკვლელობაში ბრალდებული პირი დაკავებულია. ის დანაშაულს აღიარებს.

მკვლელობა სოფელ კურდღელაურში სასაფლაოზე ღამით მოხდა. 40 წლამდე ასაკის მამაკაცი ურთიერთშელაპარაკების შედეგად ცეცხლსასროლი იარაღით მიყენებული ჭრილობებით გარდაიცვალა.

შსს-ის ცნობით, გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 108-ე მუხლით მიმდინარეობს, რაც განზრახ მკვლელობას გულისხმობს.

პოლიციელები ოჯახის წევრების გაუპატიურებით ემუქრებოდნენ...

სახალხო დამცველმა მთავარ პროკურორს ბრალდებულის მიმართ სავარაუდო არასათანადო მოპყრობის ფაქტზე გამოძიების დაწყების შესახებ წინადადებით მიმართა.

„2017 წლის 26 სექტემბერს საქართველოს სახალხო დამცველმა წინადადებით მიმართა საქართველოს მთავარ პროკურორს ბრალდებულ ს.მ.-ს მიმართ პოლიციელების მხრიდან სავარაუდო არასათანადო მოპყრობის ფაქტზე გამოძიების დაწყების შესახებ.

თბილისის დროებითი მოთავსების იზოლატორში და პენიტენციური დეპარტამენტის №8 დაწესებულებაში, საქართველოს სახალხო დამცველის რწმუნებულებთან შეხვედრისას ბრალდებულმა განაცხადა, რომ 2017 წლის 22 სექტემბერს დაკავების შემდეგ, პოლიციის განყოფილებაში აღიარებითი ჩვენების მიცემის მიზნით განახორციელეს ფიზიკური ძალადობა. თავდაპირველად თავის არეში დაარტყეს, შემდეგ თავზე ჩამოაცვეს პარკი და კისერთან ისე მოუჭირეს, რომ სუნთქვა გაუჭირდა. პარკი მხოლოდ მაშინ მოხსნეს, როცა აღიარებითი ჩვენების მიცემას და ოქმზე ხელმოწერას დათანხმდა. მისი მტკიცებით, პოლიციელი ურტყამდა თავის არეში ფეხსაცმელებით. ასევე, მიაყენეს სიტყვიერი შეურაცხყოფა, ემუქრებოდნენ ოჯახის წევრების გაუპატიურებით, ცემის დროს გონებაც დაკარგა.

თბილისის დროებითი მოთავსების იზოლატორში, ასევე, პენიტენციური დეპარტამენტის №8 დაწესებულებაში შესახლებისას ბრალდებულს აღენიშნებოდა დაზიანებები. ბრალდებულმა განმარტა, რომ დროებითი მოთავსების იზოლატორში დაზიანებების აღწერისას მათი წარმოშობის მიზეზის წერილობითი ფორმით დაფიქსირებაზე შიშის გამო განაცხადა უარი. ამასთან, ს.მ.-ს თქმით, პოლიციის განყოფილებაში განხორციელებული ძალადობის შესახებ მან თბილისის საქალაქო სასამართლოში განაცხადა.

საქართველოს სახალხო დამცველს მიაჩნია, რომ ბრალდებულის მიმართ განხორციელებულ სავარაუდო არასათანადო მოპყრობის ფაქტზე გამოძიება დაუყოვნებლივ უნდა დაიწყოს და ეფექტიანად აწარმოოს საქართველოს პროკურატურამ. ასევე, დანიშნოს და ჩაატაროს სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზა ბრალდებულის სხეულზე არსებული დაზიანებების იდენტიფიცირების, მათი წარმოშობის მექანიზმისა და ხანდაზმულობის დადგენის მიზნით“, — ნათქვამია ომბუდსმენის ინფორმაციაში.

* * *

შს სამინისტროს სახალხო დამცველის გაკეთებულ განცხადებას ვრცელი განცხადებით ეხმაურება. განცხადებაში ნათქვამია,რომ სამართალდამცავებმა შპს „ალფაზე“ თავდასხმაში ბრალდებულები დააკავეს.

შსს-ს თბილისის პოლიციის დეპარტამენტის ვაკე-საბურთალოს სამმართველოს მე-6 განყოფილების თანამშრომლებმა, ჯგუფურად ჩადენილი ყაჩაღობის ბრალდებით სამივე პირი - 1962 წელს დაბადებული თ.ხ., 1969 წელს დაბადებული ბ.მ. და 1974 წელს დაბადებული, წარსულში ნასამართლევი ს.მ. შემთხვევის ადგილზე დააკავეს. მათი თანამზრახველის დაკავების მიზნით მიმდინარეობს სამძებრო და საგამოძიებო ღონისძიებები.

„მიმდინარე წლის 22 სექტემბერს სამი შეიარაღებული პირი, თანამზრახველთან ერთად, ყაჩაღურად თავს დაესხა თბილისში, თეოდორე მღვდლის ქუჩაზე მდებარე შპს „ალფას“. მათ კომპანიის დარაჯს თავის არეში ცეცხლსასროლი იარაღის ტარით დაზიანება მიაყენეს. დარაჯმა განგაშის ღილაკზე ხელის დაჭერა შეძლო, რის შემდეგაც თავდამსხმელებმა შემთხვევის ადგილიდან მიმალვა სცადეს.

პოლიციამ შემთხვევის ადგილიდან ცეცხლსასროლი იარაღი ნივთმტკიცებად ამოიღო. დაკავებულებმა მათ მიერ მიმდინარე წლის 15 სექტემბერს თბილისში, აღმაშენებლის ხეივანში, შპს „კენტავრის“ დაყაჩაღების ფაქტიც აღიარეს. ერთ-ერთი დაკავებულის - ს.მ.-ს ავტომანქანის ჩხრეკისას ამოღებულია შპს „კენტავრის“ დაყაჩაღებისას წაღებული რამდენიმე ავტონაწილი.

2017 წლის 24 სექტემბერს თბილისის საქალაქო სასამართლომ სამივე დაკავებულს, აღკვეთის ღონისძიების სახით, პატიმრობა შეუფარდა.

შსს-ს დროებითი მოთავსების იზოლატორში მოთავსებამდე, სამივე დაკავებულს ჩაუტარდა შესაბამისი სამედიცინო შემოწმება. ბრალდებულ ს.მ-ს სხეულზე, გარეგნული დათვალიერებით, დაზიანებები აღენიშნებოდა. დაკავებულის განმარტებით, დაზიანებები დაკავების დროს, წაქცევის შედეგად მიიღო. მან, ასევე, წერილობით დააფიქსირა, რომ პოლიციის მიმართ პრეტენზია არ გააჩნია და უარი განაცხადა ფოტოგადაღებაზე. აღნიშნულის თაობაზე შსს-ს დროებითი მოთავსების უზრუნველყოფის დეპარტამენტმა აცნობა შსს-ს გენერალურ ინსპექციას და ქალაქ თბილისის პროკურატურას.

მიმდინარე წლის 26 სექტემბერს ადამიანის უფლებათა დაცვის ცენტრის იურისტმა შსს-ს გენერალურ ინსპექციის ცხელ ხაზზე — „126“ გააკეთა სატელეფონო შეტყობინება პოლიციის თანამშრომლების მიერ ერთ-ერთი დაკავებულის მიმართ ჩადენილი შესაძლო ძალადობის შესახებ. შეტყობინების მიღების შემდეგ, გენერალური ინსპექციის თანამშრომლები ორი დღის განმავლობაში ცდილობენ შეტყობინების ინიციატორთან დაკავშირებას, თუმცა ამ დრომდე მასთან სატელეფონო კომუნიკაციის დამყარება ვერ ხერხდება.

მიმდინარე წლის 27 სექტემბერს შსს-ს გენერალურ ინსპექციას განცხადებით მიმართა დაკავებულის ადვოკატმა. ვინაიდან აღნიშნული განცხადება და ასევე, 26 სექტემბერს ცხელ ხაზზე გაკეთებული შეტყობინება შეიცავს ინფორმაციას შესაძლო სისხლის სამართლებრივი დანაშაულის შესახებ, შსს-ს გენერალური ინსპექციის მიერ ორივე მათგანი, შემდგომი რეაგირების მიზნით, ქალაქ თბილისის პროკურატურაში გადაიგზავნა“, — ნათქვამია განცხადებაში.

ვულოცავთ!

ჩვენი უახლოესი და უსაყვარლესი მეგობრების ვაჟა ჯიჯავაძისა და ლალი სომნაშვილის ულამაზეს უმცროს ქალიშვილს ელისაბედსა და მის მეუღლეს ბეძა სამუკაშვილს ვულოცავთ პირველი შვილის

ანას

დაბადებას!
ჯანმრთელობასა და ხანგრძლივ წარმატებულ სიცოცხლეს ვუსურვებთ მას.

ოთარ ტურაბელიძე, ნუგზარ გელოვანი, სულხან ისაკაძე, ნოდარ თოფურიძე, თემურ ქურჩიშვილი, მამუკა ვაშაკიძე, გიორგი ლაშხი.

მაშველებმა პოლონელი ტურისტები თეთნულდიდან ჩამოიყვანეს

შსს-ს საგანგებო სიტუაციების მართვის სააგენტოში „112“-დან შეავიდა შეტყობინება, რომ მესტიაში, მწვერვალ თეთნულდზე მყოფ 2 პოლონელ ტურისტს დახმარება სჭირდებოდა. ერთ-ერთი მათგანი ჯანმრთელობის პრობლემის გამო გადაადგილებას ვეღარ ახერხებდა.

შსს-ს საგანგებო სიტუაციების მართვის სააგენტოს სამეგრელო-ზემო სვანეთის სამთო-სამაშველო ქვეგანყოფილების მაშველები, შეტყობინების მიღებისთანავე, 3 950 მეტრის სიმაღლეზე მყოფი ტურისტების დასახმარებლად შსს-ს სასაზღვრო პოლიციის ვერტმფრენით გაფრინდნენ. ღამით, რთული მეტეოროლოგიური და კლიმატური პირობების გამო, ტურისტების უსაფრთხო ადგილზე გამოყვანა ვერ მოხერხდა. შსს-ს მაშველები, მთელი ღამის განმავლობაში, ტურისტებთან ერთად იმყოფებოდნენ და შეუძლოდ მყოფ პირს დახმარებას უწევდნენ.



გამთენიისას, წარმატებული სამაშველო ღონისძიების შედეგად, პოლონეთის ორივე მოქალაქე მწვერვალ თეთნულდიდან უსაფრთხო ადგილზე უვნებლად ჩამოიყვანეს. ამჟამად, მათ სიცოცხლეს და ჯანმრთელობას საფრთხე არ ემუქრება.

დედაქალაქი

მეტროსადგური „ვაჟა-ფშაველა“ მგზავრებს დროებით ვერ მოემსახურება

მეტროსადგური „სახელმწიფო უნივერსიტეტის“ სატესტო რეჟიმის ფარგლებში, რომელიც მეტროს ახალი და ძველი სისტემების სამონტაჟო-საინჟინრო სამუშაოების განხორციელებას გულისხმობს, 29 სექტემბრიდან პირველი ოქტომბრის ჩათვლით, მეტროსადგური „ვაჟა-ფშაველა“ მგზავრებს ვერ მოემსახურება. ამ პერიოდის განმავლობაში, მეტროს მოძრავი შემადგენლობა იმოძრავებს მეტროსადგურ „დელისამდე“.

გადაადგილებისას შეფერხებების თავიდან აცილების მიზნით, მგზავრებს საშუალება ექნებათ ისარგებლონ სპეციალურად დანიშნული ავტობუსებით, რომლებიც იმოძრავებენ მეტროსადგური „დელისიდან“ ვაჟა-ფშაველას გამზირის გავლით, სანდრო ეულის ქუჩის მიმართულებით.

თბილისის სატრანსპორტო კომპანია მგზავრებს შექმნილი დისკომფორტისათვის ბოდიშს უხდის.

თაბუკაშვილის ქუჩაზე ტრანსპორტის გადაადგილება შეიზღუდება

ორბელიანის მოედანზე მიმდინარე სარეკონსტრუქციო სამუშაოებიდან გამომდინარე, 28 სექტემბრიდან ოქტომბრის ბოლომდე თაბუკაშვილის ქუჩაზე — ორბელიანის მოედნიდან ჭანტურიას ქუჩამდე მონაკვეთზე, ტრანსპორტის გადაადგილება შეიზღუდება.

დედაქალაქის მერიის ინფორმაციით, საზოგადოებრივი ტრანსპორტი ბარათაშვილის ქუჩიდან გაივლის პუშკინის ქუჩას, თავისუფლების მოედანს, რუსთაველის გამზირს, ჩაუხვევს ჭანტურიას ქუჩაზე, საიდანაც მოძრაობას თაბუკაშვილის ქუჩაზე განაგრძობს.

თბილისის მერია მოსახლეობას შეფერხებისთვის ბოდიშს უხდის.

ოქსფორდის პროფესორის „შუამიწეთი“

ინგლისის ყველაზე ცნობილ მწერალთა ათეულის ბრწყინვალე წარმომადგენელს, ლინგვისტს, პოეტსა და ფილოლოგს, დიდებული ფენტეზი-რომანების ფუძემდებელ ავტორს შუამიწეთის შესახებ ჯრონ რონალდ როუელ ტოლკიენს, წლეულს, იანვრის დამდეგს, დაბადებიდან 125 წელი შეუსრულდებოდა.

წარმოშობით საქსონელი, იგი სამხრეთ აფრიკის ქალაქ ბლუფონტეინში დაიბადა 1892 წლის 3 იანვარს, თუმცა მამის გარდაცვალების შემდეგ ოჯახი საცხოვრებლად ინგლისში დაბრუნდა. უზადო ნიჭი ჯონმა ადრეულ ასაკშივე გამოამჟღავნა, დედამ ბავშვობაშივე შეასწავლა გერმანული, ფრანგული და ლათინური ენები, მაგრამ გაცილებით უადვილდებოდა მას ძველინგლისურის, ძველნორვეგიულის, ვალიურის, ფინურისა და გოთურის სწავლა. გარდა ამისა, ოქსფორდის ექსეტერის კოლეჯში სწავლისას, მან საკუთარი „ელფური ენის“ შეთხზვა დაიწყო, რომელიც შემდგომ სალიტერატურო მოღვაწეობაში გამოიყენა.



30 წლის ასაკში იგი ოქსფორდის ისტორიაში ყველაზე ახალგაზრდა პროფესორი და, ამავე დროს, მსოფლოს ერთ-ერთი საუკეთესო ფილოლოგი გახდა. იგი მონაწილეობდა ოქსფორდის სიტყვარის შედგენაში. 1950-იან წლებში მისი შემოქმედება დიდად პოპულარული გახდა ახალგაზრდობაში, რომელმაც „ბეჭდის საძმოს“ მოყვარულთა აუარება კლუბი შექმნა.

მისი ნაწარმოებები — „ჰობიტი, ანუ იქით და აქეთ“, „სილმარილიონი “, ტრილოგია „ბეჭდების მბრძანებელი“ ახლაც მილიონიანი ტირაჟებით იბეჭდება, მათ შორის ქართულ ენაზეც. ჭეშმარიტი დიდება კი მწერალს რეჟისორ პიტერ ჯექსონის კინოსაგან „ბეჭდების მბრძანებელმა“ მოუტანა, რომელიც მრავალი „ოსკარის“ პრემიით დაჯილდოვდა.

საგულისხმოა, რომ სიტყვა „ჰობიტი“ ორი ინგლისური სიტყვის „human“ — ადამიანისა და „rabbit“ — ბოცვერიდანაა ნაწარმოები. სწორედ აქედან მოდის მათი სორო-სახლები და ბალნით დაფარული ფეხები.

იცით თუ არა, რომ...

...მსოფლიოში ყველაზე ძვირადღირებული ბურგერი 2017 წლის მარტში დუბაიში გაიყიდა, რომელშიც მომხმარებელმა 10 ათასი დოლარი გადაიხადა?

...იტალიაში პალეონტოლოგებმა 120 მილიონი წლის წინათ მცხოვრები დინოზავრების ნეშტების მიხედვით მათი იერსახე აღადგინეს?

...ნაპოლეონის გენერალი მაურიცო გაუკე ეროვნებით ბოშა იყო, ხოლო მის შთამომავლებს შორის არიან ესპანეთის მეფე ფელიპე დე ბერბინი და ინგლისის ტახტის მემკვიდრე, უელსის უფლისწული ჩარლზი?

...ბოშური შთამომავლობა აქვთ აგრეთვე საფრანგეთის ექსპრეზიდენტ ნიკოლა სარკოზის, ამერიკის შეერთებული შტატების ექსპრეზიდენტ ბილ კლინტონს, ჰოლივუდელ ვარსკვლავ იულ ბრინერსა და შვედ ფეხბურთელ ზლატან იბრაჰიმოვიჩს?

...დედამიწის ჩრდილოეთ პოლუსს პირველმა მიაღწია არა რობერტ პირიმ, როგორც ეს ამ თემისადმი მიძღვნილ თითქმის მთელ ლიტერატურაშია აღნიშნული, არამედ არქტიკის სხვა ამერიკელმა მკვლევარმა ფრედიკ კუკმა?

...მსოფლიოში განთქმულ რომის ტრევის შადრევნის აუზში, მარადიულ ქალაქში ჩასული ტურისტები, ბედნიერების მოსაზიდავად, ყოველ კვირას 10 ათას დოლარზე მეტი ღირებულების მონეტებს აგდებენ, რა თანხასაც შემდგომ მუნიციპალური ხელისუფლება საქველმოქმედო მიზნებისთვის გასცემს?

...ცოტა ხნის წინათ აზიის ქვეყნებში სამოგზაუროდ წასულმა საუდის არაბეთის ხელმწიფემ, 81 წლის სალმანმა თან... 460 ტონა ბარგი წაიღო. იმის გამო, რომ თვითმფრინავის ტრაპზე მონარქს ასვლა-ჩასვლა უჭირს, მსახურებმა... ესკალატორებიც გაიყოლეს, მეფე კი ცხადია, საკუთარი „ბოინგით“ გაფრინდა?

...საუდელი მონარქი სამოგზაუროდ ჩვეულებრივი ავიახაზებით რომ წაბრძანებულიყო, მას 20-კილომეტრიანი 23 ათასი ჩემოდანი დასჭირდებოდა, ჭარბი წონის გადაზიდვაზე დამატებითი გადასახადი კი 860 ათას დოლარს გადააჭარბებდა?

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
სულხან-საბას ქ. №3

მთავარი რედაქტორი
სპარტაკ ძობულია
293-13-34
599 36-00-35

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი
599 53-76-16;
ალეკო ასლანიშვილი
599 56-81-86;

პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე
514 33-33-24

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
ტ: 599 79-76-79
შპს „ახალი საუკუნე“
იბეჭდება გამომცემლობა
„კოლორ პრესში“
რკინიგზის ჩიხი №20

uac(უაკ)070.4(479.22)
ს—323
ISSN 2233-3851
9 772233 385001

ავტორთა საყურადღებოდ!

რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

„საქართველოს რესპუბლიკა“ შენი გაზეთია, აუცილებლად წაიკითხე!

უცხოური ვალუტის კურსი:
აშშ დოლარი - 2.4806; ევრო - 2.9251;
ბრიტანული გირვანქა სტერლინგი - 3.3334;
100 რუბლი - 4.3080; თურქული ლირა - 0.7009;
აზერბაიჯანული მანათი - 1.4618;
1000 სომხური დრამი - 5.2004.

ამინდი 28 სექტემბრისთვის
აღმოსავლეთი საქართველო:
ბარი - ღამე +12 დღე +20
მთიანი რაიონები - ღამე +5, დღე +18
დასავლეთი საქართველო:
ბარი - ღამე +14, დღე +22
მთიანი რაიონები - ღამე +7, დღე +20
თბილისი: ღამე +16, დღე +18

დაგვირეკეთ, მოგვწერეთ:
ტელ: 293-13-34,
599-79-76-79
ელ. ფოსტა: sakresp@mail.ru
და sakresp@top.ge